ყოველდღიური გაზეთი ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 19 ღვინობისთვე 1916 წ. № 232

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს 15 [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
ფასი დირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
გრძნობით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—22) დიმიტრი უხ. გიგიბერია და ნ. გ. ჟურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის აბესლომიანისა

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას ასრულებს
## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—21)

# ბრძოლა ეროვნებისათვის

თანამედროვე ქართულ პრესას ერთი მეტის მეტად ახირებული ზნე სჭირს. თითქმის ყოველი ქართული ბეჭდვითი ორგანო თავისთავს საუკეთესო ატესტაციებს აძლევს, დ ნარჩენებს კი სილარიბის მოწმობებს ურიგებს. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ ჩვენი გაზეთები უმეტეს შემთხვევაში პარტიული ორგანოებია, პარტიული აზროვნების დამახასიათებელი თვისება კი გაუტანლობა და ცალმხრივობაა. თვითეული პარტია მხოლოდ თავის თავს სცნობს ქვეყნის მხსნელად ან ყოველგვარი სათნოებისა და სიკეთის მატარებლად, მოწინააღმდეგენი და მოქიშპენი კი ჯოჯოხეთისა ან განწმენდის მთის არსებებათ მიაჩნია.

ამ მხრივ დიდი სხვა და სხვაობა არ არსებობს ქართულ პრესაში. იგივე „თავაზიანი ეპიტეტები“, რომელთაც გუშინ ანარქისტები დასელების წინააღმდეგ ხმარობდნენ, ხოლო დასელები ფედერალისტების წინააღმდეგ, დღეს ფედერალისტების მიერ საქართველოელების წინააღმდეგ იხმარება, და ადვილი შესაძლებელია ხვალ ხელახლა თავიდან დაიწყოს რიგი მუდმივი განმეორებისა. ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ ადამიანები, რომელნიც შეიძლება ერთმანეთს პირადად არც კი იცნობდნენ, თავის თავს ნებას აძლევენ ერთი მეორის ზნეობრივი პიროვნება ასწონ-დასწონონ და ისეთი დანაშაულობა მიაწერონ, არსებითად სისხლის სამართლის ძალით რომ ისჯება.

ჩვენ აქ გვერდს ავუხვევთ ამ სახიფათო სფეროს კრიმინალური პოლიციისას და ვეცდებით ანგარიში გაუწიოთ საგაზეთო პოლემიკის ორიოდე ობლად განმარტოებულ აზრს, რომელსაც ოდნავ მაინც ატყვია იდეური შინაარსის ნიშანწყალი. ერთს თავის უახლოეს ნომერში „სახალხო ფურცელმა“ ჩვენს გაზეთს თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული მიმართულების ორგანო უწოდა. ცნობილია, რომ ასეთი სახელწოდება სრულიადაც მოულოდნელი და თავისებური არ არის: მას თითქმის ყოველი ქართული გაზეთი ხმარობს მოწინააღმდეგის გასაწბილებლად. ეს, ასე ვსთქვათ, ერთგვარი სამარცხვინო დაღია, სწორედ იმის მსგავსი, საშუალო საუკუნოებში რომ ხმარობდნენ დიდი დამნაშავეების გამოსარჩევად. ასეთი დაღით აღბეჭდილს უხიფათოდ სიარული როდი შეუძლიან ქართულ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიის იდეოლოგობა თავისთავადაც დიდს დანაშაულობად ითვლება ჩვენში. არა ნაკლებ მძიმე დანაშაულობაა თავად-აზნაურობის იდეოლოგობა. თუ გაზეთ „საქართველოს“ მრჩობლ ანუ ორწილად შეცოდებას აწერენ, ეს ალბად იმისთვის ხდება, რომ მკითხველის თვალში რაც შეიძლება აშკარა გახდეს ამ ბნელი არსების უბადრუკობა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ სასტიკ ბრალდებაში შინაგანი წინააღმდეგობაა დაფარული. ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია, რომ ჩვენი ორგანო არ სდგას კლასობრივს ან წოდებრივს ნიადაგზე. რასაკვირველია, „სახალხო ფურცელს“ სრული უფლება აქვს არ დაუჯეროს ამ განცხადებას და ჩვენს აზროვნებასა თუ მოქმედებაში იდუმალი კლასობრივი, წოდებრივი ან თუნდ ეგოისტური მოტივები ეძებოს. მაგრამ პატივცემულმა გაზეთმა იმდენად მაინც უნდა შეგვიბრალოს, რომ ზნეობრივ ვერაგობასთან ერთად გონებრივი სიჩლუნგეც არ მოგვაწეროს. დიდი გონებრივი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ არ შეიძლება ვიწრო კლასობრივ ნიადაგზე დგომა და ერთსა და იმავე დროს ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის მესვეურობა. ამ ორი საზოგადოებრივი ჯგუფის კლასობრივი ინტერესი ბევრს რამეში ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. ბურჟუაზია უფლებრივი თანასწორობის მომხრეა, თავად-აზნაურობა უფლებრივი პრივილეგიის; ბურჟუაზიის შესაფერი პოლიტიკური ფორმა დემოკრატიაა, თავად-აზნაურობისა არისტოკრატიული მონარქია; ბურჟუაზიის ინტერესები შრომის განუსაზღვრელ თავისუფლებას ითხოვს, თავად-აზნაურობისა პირიქით მუშა ხელის სოფელში შეჩერებას; ბურჟუაზიისთვის სამეურნეო ნაწარმოების გაიაფება და სამრეწველო ნაწარმოების გაძვირებაა ხელსაყრელი თავად-აზნაურობისთვის პირიქით საფაბრიკო პროდუქტების გაიაფება და თო პროდუქტების გაძვირება. ბურჟუაზია კაპიტალის შემოსავლის გასადიდებლად იბრძვის და მამულის რენტის შესამცირებლად, თავად-აზნაურობა პირიქით მამულის რენტის ზევით აწევას და კაპიტალის პროცენტის ქვევით ჩამოწევას სცდილობს. ადამიანი ოდნავ ბეცი უნდა იყოს ან ოდნავ ალმაცერად მაცქერალი, რომ ეს მოვლენები ვერ დაინახოს. ჩვენი საკუთარი მხედველობის შესახებ (კოტათი უკეთესი აზრისა ვართ, ვიდრე ჩვენი პატივცემული მოკამათეა და ვფიქრობთ, რომ საკმაოდ ნათლად ვამჩნევთ ამგვარ წვრილმანებს.

ამას გარდა ჩვენ კიდევ ვფიქრობთ შემდეგს. ვინც ერთი რომელი საზოგადოებრივი კლასისა თუ ჯგუფის მესვეურობას იკისრებს, აუცილებლად შეეჯახება დანარჩენ ჯგუფებს, ე. ი. ერის დიდ უმრავლესობას. კლასობრივი ეგოიზმი ადამიანს ისევე ანმარტოებს, როგორც პირადი ეგოიზმი. ზნეობრივი სიძლიერე და პოლიტიკური სიბრძნე ამ სხვა და სხვა გვარი ეგოიზმის შესუსტებასა და უარყოფაში მდგომარეობს. ინტერესთა სხვა და სხვაობა და წინააღმდეგობა არსებობს თანამედროვე ერში. ეს უცილობელია. უცილობელია ისიც, რომ არსებობს ინტერესთა თანხმობაც. ეროვნება მთლიანი და განუყოფელი სხეულია შინაგან ძალთა შეტაკებისა და ბრძოლის მიუხედავად. ეს თვალხილულთათვის ყოველთვის ცხადი იყო. ბრმებს კი განსაკუთრებით თანამედროვე ომმა შეაგნებინა. სამოქალაქო ზავი შიგნით, ერთობრი გამოსვლა გარეთ შეუძლებელი იქნებოდა, ეროვნულ შემეცნებასა და ინტერესს კლასობრივი შემეცნება და ინტერესი რომ არ დაეჩრდილა.

საქართველოს იდეის გარშემო ყველა საზოგადოებრივი კლასი და ჯგუფი უნდა გაერთიანდეს. ეს ჩვენი აზრით შესაძლებელიც არის და დიდათ საჭიროც. ვისი ინტერესი ითხოვს სამშობლო მიწა-წყლის დაცვას უცხოელების მშვიდობიანი თუ შეიარაღებული შემოსევისაგან? რასაკვირველია, მთელი ქართველობისა, ორიოდე ჭკუამოკლე ეგოისტს გარდა. ვისი ინტერესი მოითხოვს ხალხში სწავლა-განათლების შეტანას? რასაკვირველია მთელი ქართველობისა ორიოდე ბნელი ობსკურანტის გარდა. ვისი ინტერესი მოითხოვს დედა-ენისა, სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, ხელოვნების და მეცნიერების განვითარებას, ეროვნული ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებას, გვარტომობისა და სისხლის დაცვას, ისტორიული შეგნების განმტკიცებას? რასაკვირველია, მთელი ქართველობისა, ორიოდე გადაგვარებული მსოფლიო მოქალაქის გარდა. ვისი ინტერესი მოითხოვს ეროვნული კაპიტალის შეძენას და ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებას? რასაკვირველია მთელი ქართველობისა ორიოდე ჩამოთესლილი პარაზიტის გარდა.

ჩვენ ვიბრძვით ეროვნებისათვის. ეს სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ გაუსწორებელი ეგოისტებისა, ობსკურანტებისა და პარაზიტების წინააღმდეგ ვიბრძვით. ეს ბრძოლა ეროვნულია და არა ვიწრო კლასობრივი და ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დღევანდელი მოკამათენი ხვალ ჩვენს გვერდით აღმოჩნდებიან ორიოდე გაუგებრობის მიუხედავად; შეიძლება თვით ისინიც კი, ვინც ბურჟუაზიის მესვეურად გვთვლის. მიტომ რომ ჩვენ ვიცავთ ბურჟუაზიას არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც პროგრესიული ეკონომიური ცხოვრების მატარებელს, როგორც საშუალებას ეროვნულის კულტურის წინსვლისას.

ვ. ღელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, რუმინეთის ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. ეს, რასაკვირველია, სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომ ბრძოლა შეწყდა და ყველგან მშვიდობიანობა დამყარდა. პირიქით დროებითი სიჩუმე მომასწავებელია იმ საშინელ ქარიშხალისა, რომელიც უეჭველია ასტყდება ამ ორ-სამ დღეში.

რუმინეთის წინააღმდეგ დაწყებული ოპერაცია, სიმართლე უნდა ითქვას, ჯერ-ჯერობით არც ერთს სამხედრო მიმომხილველს გამორკვეული არ აქვს. ხშირად სცდებიან, ერთი-მეორეს საწინააღმდეგო დებულებაზე ემყარებიან და გასათვალისწინებლად მომავლისა ყალბი გამოდის. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ შესძლეს ამა თუ იმ მიმომხილველებმა გერმანეთის განზრახვის წინდაწინვე გამოცნობა. ძალიან ხშირად, უფრო თითქმის ყოველთვის, გერმანელები თავიანთ სტრატეგიულ ხრიკების საშუალებით თვალებს უბამენ მაყურებელს. ასეთივე ამბავი ხდება ახლაც რუმინეთის ასპარეზის შესახებ. ყოველისფერი, რაც ითქვა და დაიწერა რუმინეთში დაწყებულ ოპერაციის შესახებ, რომ ერთდროულად გადაისინჯოს, მკითხველი სახტად დარჩება იმდენი ყალბი და შემცდარი იმედები და წინასწამეტყველობა იქნება გამოთქმული. მაგ. ერთი შეხედვით რუმინეთის წინააღმდეგ დაწყებული ოპერაცია მეტად სადი და მარტივია. მოხაზულება ბრძოლის ხაზისა და ორივე გერმანელთა მთავარ სარდლის მოქმედება პირდაპირ გიკარნახებს, რომ მაკენზენი დობრუჯს დაიკავებს, აქ გამაგრდება და დაუცდის, სანამ ფალკენჰაინი გადმოლახავდეს ალპებს და დაეშვება ბუქარესტით და ბუზეოს ველით მაკენზენისაკენ. ე. ი. ორივე გენერალი რუმინეთს უვლიან და შემდეგ ზედ შუაზე გადასჭრან. მთავარ როლს ამ ოპერაციაში აკისრებენ ფალკენჰაინის, მაკენზენი მხოლოდ დამხმარე მომქმედია. თვით რუმინელებიც ალბათ ასე ჰფიქრობენ, რადგან მთელი მათი მთავარი ძალა ფალკენჰაინის წინააღმდეგ ჰყავთ დაბანდებული.

ვიმეორებ, ოპერაცია ძალიან მარტივია. მაგრამ ამასთანავე აქ იბადება შემდეგი საკითხი: რა საჭირო იყო დობრუჯში შეჭრა, მთელი ამ პროვინციის დაპყრობა და აუარებელ ჯარის დაბანდება; განა არ შეეძლო ამავე მაკენზენს მდ. ბუზეუთი შეჭრილიყო რუმინეთს, დაეკავა ქალაქი გალაცი, გადაელახა აქ მდ. დუნაი და შავი ზღვის ნაპირისთვის მიებჯინა თავისი მარცხენა წვერი. განა მაშინ მთელი რუმინეთი მოწყვეტილი არ იქნებოდა? სა დწავდოდა ახალ მოკავშირეს ჯარი. ვინ არ იცის, რომ გადაყვანა რუსეთში კონსტანციიდან გემებით ძალიან ძნელი საქმეა და ვეღარც მოასწრობდნენ რუმინელები. გარდა ამისა მაკენზენს აგრეთვე შეეძლო გაეფართოვებინა თავისი მოქმედება და მდ. პრუტა, რომელიც კარპატებიდან მოდის და მდ. დუნაის უერთება საზღვრად გაეხადა, მაშინ როგორც დიდი, ისე პატარა ვალახია, ე. ი. მთელი რუმინეთი მოწყვეტილი იქნებოდა. ასე ვფიქრობთ ჩვენ და არა გერმანელები, მაშასადამე, სჩანს, მათ სულ სხვა განზრახვა და მიზანი აქვთ დასახული. ადვილად შეიძლება ყველა ის ცნობები, ვითომ მთავარ ძალების ხელმძღვანელი ფალკენჰაინი იყოს შემცდარი გამოდგეს. მისი ბრძოლის ხაზი მეტად დიდია; ავსტრო-გერმანელებს არც ისე აუარებელი ჯარი ჰყავთ თავიანთ განკარგულებაში, რომ ამ სიგრძე ხაზზე ფასიულად შესძლონ ფართო შეტევა აწარმოვონ. სამაგიეროდ მაკენზენის ხაზი ძალიან მოკლეა. სიგრძით იგი 60 ვერსს არ აღემატება, მაშინ როდესაც ჩრდილოეთის ბრძოლის ასპარეზი ათას ვერს აღემატება. განსხვავება მეტად დიდია. ამასთანავე თვით რუმინელებისთვისაც ძალიან უხერხულია ჩრდილოეთი ბრძოლის ველი. მათაც უხდება ეს ამოდენა ხაზი გაამაგრონ და თავისი მცირე არმია შესაფერისად გაანაწილონ. ეს კარგად ეცოდინება მოპირდაპირეს. მთავარ ძალების დაბანდება სწორედ რომ ხელფეხს უხსნის მაკენზენს დობრუჯში. ადვილათაც მიილტვის წინ და თავის მიზანს ანხორციელებს. რაც გინდა მოხდეს დობრუჯში, რუმინელები ჩრდილოეთ ასპარეზიდან ჯარს ვერ მიიშველებენ. აი ყველა ეს მოსაზრება შეიძლება გამართლდეს და უცბად გამოჩნდეს, რომ საფრთხე სწორედ მაკენზენიდან იყო მოსალოდნელი. შეიძლება ნამდვილად მთავარი ძალები მაკენზენს ჰყავდეს თავის განკარგულებაში. რაკი დობრუჯს დაიპყრობს და მდ. დუნაის შესართავს მიადგება, უეჭველია ამ მდინარეს სადმე გადალახავს, უფრო კი ჩერნოვოდთან, რადგან აქედან, რკინის გზა მიდის ბუქარასთან, შეიჭრება რუმინეთში და ან გალაცში ან და სხვაგან სადმე მოსწყვეტს რუმინეთს. ადვილად მოსალოდნელია ყველა ეს ჩვენი მოსაზრება განმეორდეს, მიტომ უფრო, რომ მაკენზენი მეტად ცნობილი გენერალია, არასოდეს მთავარი შტაბი ისე მცირე მოვალეობას არ მიანდობს მას, როგორიც არის დობრუჯის დაჭერა. ყველამ ვიცით, რომ გერმანელები ფრთებით როცა უვლიან და საგრძნობლად წინ იწევენ, უთოვოდ სადმე ცენტრშიაც იწყობენ ოპერაციას, არღვევენ ბრძოლის ხაზს და მოპირდაპირის არმიას ორად სწყვეტენ. უეჭველია ამ საქმის განხორციელება დავალებული ექნება მაკენზენს.

ისიც მართალია, რომ ჩვენ ძალიან მალე შევიტყობთ, თუ რა გზას დაადგება მაკენზენი დობრუჯის დაპყრობის შემდეგ. თუმცა ჯერ საჭიროა, რომ ეს პროვინცია დაიპყრას.

X.

## ომის დეპეშები

18 ღვინობისთვე.

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე, პეტრა-კალეს და ჩუხურ ნორშენის (ბითლისის ჩრდილოეთით) მიდამოებში, ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. ქამადანის მიმართულებით მოპირდაპირეს დავატოვებინეთ სოფლები. ახმედ-აბადი, ინჯიმ-ბაჩი, უჩ-თავე, ხათამ-აბადი, ვიანდი და მაზრე.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანიასა და დობრუჯში არსებითი არაფერი მომხდარა.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: პრუსიის სამხედრო მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი გოგენბირნი დასავლეთის ასპარეზზე მთავარ-სარდლად დაინიშნა. მის ადგილას დანიშნეს მარქაფა ჯარის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი შტეინი.

**პარიზი.** სერბიელები ფრანგების არტილერიის დახმარებით შეებნენ ბულგარელებს და გერმანელებს. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო და ჯერაც არ დამთავრებულა.

**პარიზი.** 16 ღვინობისთვე. დილის ოფიციალი ცნობა. მდინარე სომას ხაზზე ფრანგებმა გაიმარჯვეს საი საიზელის მიდამოებში. ბიაშის ახლო ტყვეები წამოიყვანეს. ვირდენის ჩრდილოეთით ბრძოლაა ზარბ ზნებით. დანარჩენ ადგილას მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა რა.

ბალკანეთის ცნობა. მდინარე სტრუმის ნაპირზე ინგლისელებმა მოიგერიეს ბულგარელთა იერიში ორმანლის ჩრდილოეთით. მდინარე ტრინის მოსახვევში სერბიელებმა წინ წაიწიეს. ფრანგებმა დაიპყრეს სოფელი გარდილევო. უფრო მარცხნივ კი ერთმა ფრანგის რაზმმა ხელთ იგდო მტრის სანგრების ქსელი. ფრანგთა ზარბაზნებმა ცეცხლი გაუჩინეს ვოლუჩენის სამხედრო საწყობებს.

**ლონდონი.** 16 ღვინობისთვე, საღამოს ოფიციალი ცნობა. ლიონეფის

ჩრდილო აღმოსავლეთით ინგლისელებმა ზარბაზნების მარჯვე სროლით გამორეკეს მტერი საკუთარ სიმაგრეებიდან და დაიპყრეს რამოდენიმე მნიშვნელოვანი სანგარი, წამოიყვანეს 63 ტყვე. მათ შორის 2 აფიცერი. დღით გერმანელები ზარბაზანს ესროდნენ ოკურ-ლაბეს და მარტენპურშს. ინგლისელების არტილერია მოქმედებდა სიმაგრეების წინააღმდეგ მესინის, არმანტირის, გინეშის, გოგენცოლერნის და ჰომკურის მიდამოებში.

**პარიზი.** 16 ღვინობისთველ. საღამოს ოფიციალი ცნობა. მდინარე სომას სამხრეთით, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელებმა მწველი სითხის შემწეობით იერიში მიიტანეს ფრანგთა სიმაგრეეზე, მაგრამ მოიგერიეს ტყვიის მფრქვეველთა საშუალებით; ვერდენის ჩრდილოეთით გრძელდება საარტილერიო ბრძოლა ოდრემონის და დიუმონის მიდამოებში. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა. სხვაგან დღემ მშვიდად ჩაიარა.

# ქურნალ-გაზეთებიდან

### რუმინეთი

**ქ. შუმსკი სწერს:** ჩერნოვოდის აღება კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ მაკეზენს შეეძლოს ეხლავე დუნაის გაღმა გასვლა. დუნაის კიდეები 10—15 ვერსზე სიგანით ჭაობებითაა სავსე. ეს საკმაოდ ჰმოწმობს თუ რა ძნელია ჩერნოვოდთან დუნაის გაცურვა. დობრუჯიდან რუმინეთში გასვლა ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სამ ადგილას შეიძლება მდ. დუნაის გადასერვით.

დღეს-დღეობით უმთავრესი მნიშვნელობა ფალკენჰაინის მოქმედებას უფრო აქვს ტრანსილვანიის იმ ადგილებში, სადაც მისი ბრძოლის ხაზი რუმინეთშია შეზნექილი. უმთავრესი გულისყური უნდა მივაქციოთ ფალკენჰაინის მოქმედებას პრედეალთან, კიმპოლუნგთან და ჟიუს ველში, სადაც რუმინელებმა უკან დაიხიეს. პრედეალი კრონშტატიდან 18 ვერსზეა, ხოლო ტრანსილვანიის საზღვრიდან კი 3 ვერსზე. იგი მდებარეობს კრონშტატიდან პლოეშტისა და ბუქარესტისაკენ მიმავალ გზაზე. პრედეალიდან პლოეშტამდე 70 ვერსია, ხოლო ბუქარესტამდე 120 ვერსი. ტირგუჟიუს ველში მოპირდაპირეს აუღია რუმინელების ქალაქი კომპოლუნგი. ეს ქალაქი 30 ვერსზეა საზღვრიდან. აქედან ბუქარესტამდე 150 ვერსია.

ჟიუს ველში მოპირდაპირემ 30 ვერსით წინ წამოიწია და დაიპყრო რუმინელების ქალაქი ტირგუ ჟიულუი.

ეს სამივე ალნიშნული ადგილი პრედეალ-კიმპოლუნგ-ტირგუ-ჟიული— სამხრეთ რუმინეთში სახელდობრ ვალახიაში მდებარეობს.

ფალკენჰაინმა ჯერ ვალახიაში შემოუტია, ხოლო მერე რუმინეთის ჩრდილო ნაწილში, სახელდობრ მოლდავიაში, სადაც მხოლოდ 7—10 ვერსზე თუ შეიჭრა.

ზემოხსენებულიდან სჩანს, რომ ფალკენჰაინმა რუმინეთი სიგანეზე უნდა გადასეროს (30 ვერსის გამოკლებით) და მაშინ შესძლებს მაკენზენის ჯართან შეერთებას.

რადგანაც ფალკენჰაინს ამ მხრივ 30 ვერსზე მეტით არ წაუწევნია წინ, რუმინეთის სტრატეგიული მდგომარეობა ჯერ მთლად არ არის შერყეული მაკენზენის გამარჯვებით.

ბუკოვინიდან კონსტანცამდე 400 ვერსზე გაჭიმულ ბრძოლის ხაზის შემოკლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ფალკენჰაინმა განაგრძო ტრანსილვანიიდან რუმინეთის შუაგულისაკენ წინსვლა.

მაკენზენის მიზანია ეხლა ჩრდილოეთ დობრუჯის დაპყრობა. ხოლო როდესაც ამ საქმესაც მოამთავრებს, მაშინ მიეპჯინება დუნაის ჭაობიან ნაპირებს, მაშინ უეჭველია მაკენზენს დასჭირდება დუნაის გაღმა გასვლაზე ფიქრი და ზრუნვა. უამისოდ მას სამოქმდო ასპარეზი აღარ ექმნება. საამისოდ კი უფრო ძლიერი მოქმედების გაჩაღება იქნება საჭირო, ვიდრე დღეს.

**პეტროვის აზრი.** კითხვა იბადება, რას ესწრაფება მაკენზენი, თავის ჯარს რომ დობრუჯის ტომარაში უყრის თავს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ჩრდილოეთით წაწევას ძნელად თუ მოახერხებსო ან და გაჩერდეს ჩრდილოეთით იმ ხაზზე, სადაც ეხლა იმყოფებიანო. ამ მდგომარეობაში რომ დარჩნენ ტოშევის ჯარს შეუძლიან ჩერნოვოდის მიდამოებში დუნაიზე გადასავლელი ხიდი დაიპყრას, ეს კი მათთვის დიდად ხელსაყრელია თუ ფალკენჰაინის ჯარი ტრანსილვანიის მხრიდან წინ წამოსვლას დაიწყებს, რადგან ჩერნოვოდის ხიდზე გადადის რკინის გზა ერთი ჩრდილო-დასავლეთით ტრანსილვანიისაკენ და მეორე შტო დასავლეთით ბუქარესტისაკენ.

ცხადია თავის ათის დივიზიით გენ. ტოშევი ფალკენჰაინის შესახვედრად არ წავა, იგი ეცდება დაპყრობილ ადგილებში გამაგრდეს. მან ისეთი სიმაგრეები დაიჭირა, რომელნიც აგებულია ჩრდილოეთიდან წამოსულ მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად და მართლაც ამ ჟამად ტოშევი ჩრდილოეთიდან უნდა მოელოდეს შემოტევას, ჩერნოვოდის სიმაგრენი დიდს დახმარებას გაუწევენ. მაშ როდის შეუერთდება ტოშევის ჯარს ფალკენჰაინი? მთავარსარდლის უკანასკნელ ცნობიდან სჩანს, რომ რუმინეთში შეჭრილი ფალკენჰაინის ჯარი ჯერ შუა რუმინეთში ვერ შესულა. ფალკენჰაინი კრონშტატიდან 30 ვერსით წინ წამოვიდა და თუ ასეთის ნაბიჯით იარეს ერთს თვემდისაც დუნაიმდე ვერ მოვლენ. დუნაიმდე 150 ვერსამდეა და ეს სიგრძე ბრძოლით უნდა აილოსო.

# უკანასკნელი დეპეშები

ათინიდან იუწყებიან, რომ იქ მღელვარება დაიწყო, რაიცა ბოლოს სრულ ანარქიათ იქცა. პოლიცია და ჟანდარმები დემონსტრანტებს მიემხრნენ. ფრანგების ამირბარს (ფლოტის უფროსს) სტვენით მიეგებნენ. ბერძენი დარაჯები ხდუმდნენ. ამირბარი ფურნიე მეფე კონსტანტინესთან იყო სადარბაზოდ. საბერძნეთის პოლიცია დაექვემდებარა შეთანხმების სახელმწიფოების კონტროლს.

—

სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ, რომ დობრუჯის ასპარეზზე რუს-რუმინელთა ჯარი ბაბადარის ტყეს უახლოვდება, რაიცა მას ხელს შეუწყობს ბულგარელ-გერმანელებთან ბრძოლაში.

—

„რუსკოე სლოვო“ იუწყება, რომ ტამბოვის გუბერნატორი გუბერნიაში მოგზაურობს და სოფლის მცხოვრებლებს არწმუნებს, რომ პური გამოიტანონ ბაზარში.

—

თავადი ევგენი ტრუბეცკოი „რუსკოე სლოვოში“ ამტკიცებს, რომ გამოსვლა დღევანდელ სასურსათო კრიზისიდან მხოლოდ ფართო რეკვიზიციით შეიძლება. ტრუბეცკოის აზრით სუსტია საბუთები უკიდურესი კონსერვატორებისა, რომელთაც სახელმწიფოს შეკრა ეკონომიურ ურთიერთობაში სოციალიზმის გამარჯვებათ მიაჩნიათ. სოციალიზმის ნაწილობრივი განხორციელება თავად ტრუბეცკოის პატრიოტულს ვალად მიაჩნია. მინინის ლოზუნგი: „დავაგირავოთ ჩვენი ცოლები და შვილებიო“,—ავტორს უაღრეს სოციალისტურ ლოზუნგად მიაჩნია.

—

„რეჩი“ სწერს: შარშანდელ შემოდგომის მსგავსად მტერი წრევანდელ შემოდგომასაც ბალკანეთის ოპერაციისთვის იყენებს. მაკენზენს და ფალკენჰაინს ერთად ჰსურთ გადალახონ რუმინეთი, როგორც შარშან სერბია გადალახეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ სძლებენ ამას. სერბიას დახმარება აკლდა, რუმინეთს კი გვერდით დიდი მოკავშირე უდგას.

—

ფრანგულ გაზეთ „მატენის“ ცნობით, გერმანეთს ჯერ კიდევ დიდძალი ვაჟკაცი ჰყავს სათადარიგოთ: ამ სახელმწიფოს ეხლა კიდევ შეუძლია 800.000 კაცისგან შემდგარი ახალი ლაშქარი გამოიწვიოს. მხოლოდ ესა, რომ გერმანეთს აკლია სამხედრო ტანთსაცმელი და სურსათი.

—

გერმანელები დაპყრობილ პოლონეთში უსაქმო მუშებს აგროვებენ და გერმანეთში ჰგზავნიან სამუშაოდ ამით ჰსურთ შეავსონ დანაკლისი, ხანგრძლივმა ომმა რომ გამოიწვია.

# ახალი ამბავი

### სასახლეში.

✦ **მეფის ნაცვალს** სადარბაზოდ წარუდგა დიდი მთავარ ბორის ვლადიმირის ძის ამალა და თბ. გუბერნატორი ფლ. ად. მანდრიკა.

✦ **დიდ მთავარ ბორის ვლადიმირის ძეს** სასახლეში წარუდგნენ მთავრობის უმაღლესი წარჩინებული პირნი.

### ქართული დაწესებულებანი

**დეპ. აკაკი ჩხენკელის დეპეშა.** ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ შემდეგი დეპეშა მიიღო სახელმწიფო სათათბიროს წევრ აკაკი ჩხენკელისაგან ბათომიდან: „ბათომის ოლქში დაბრუნებული ქართველი მაჰმადიანები დიდ გაჭირვებას განიცდიან. დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით თქვენი რწმუნებული. გთხოვთ საჩქარო ზომები იქმნეს მიღებული“.

✦ **გაემგზავრნენ** ბათუმს, იქაურ ქარ. საქვ. საზ. რაიონულ განყოფილების მდივანი ბ-ნი კ. კობახიძე, ხუცუბნის აგრონომიულ სკოლის ახლად დანიშნული პრაქტიკანტ-მებაღე მიხ. გოზალაშვილთან ერთად.

✦ **საისტორიო საეტნ. საზოგ მუზეის** ქ. საქვ. საზ. გამგეობის მდივანმა ბ-ნ პ. საყვარელიძემ ჩამოუტანა ძლვნად მშვენიერი სურათი ტბეთის ტაძრისა, ნახატი აჭარელ კაია-ბეგ ხიმშიაშვილისა ფერადი წამლით. ეს სურათი შემოწირულია ექიმ ნიკურაძის მიერ.

### მთავრობის დაწესებულებანი

✦ **ქალების ინსტიტუტის 50 წლ. იუბილე.** დღეს, 19 ღვინობისთვეს, ქალთა ინსტიტუტს უსრულდება 50 წელი რაც ქვრივ დედოფლის მარიამ თეოდორის ასულის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამის გამო დღეს ინსტიტუტის ეკლესიაში მწირველია საქართველოს ექსარხოსი მ. ყ. უ. პლატონი.

✦ **თბ. ქალთა უმაღლეს კურსებზე** ამ ჟამად სულ 587 მსმენელი ქალია. ამ რიცხვში სამკურნალო ფაკულტეტზე ირიცხება 340 ქალი, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 140, ფილოლოგიურზე 57 და ფილოსოფიურზე 50.

✦ **ახალი გზები.** გეოგრაფიულ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე, რომელიც მეფის ნაცვლის თანაშემწის ინჟ. გენ. იანუშკევიჩის თავმჯდომარეობით შესდგა სია ახალ გასაყვან გზებისა. პირველად მიღებულ იქმნა წინადადება კავკ. სამკურნალო საზ. წევრის ბ. ლუნკევიჩისა სამკურნალო მიზნით ბორჯომ-ყარს-ოლთისის გზის გაყვანისა ახალციეზე აბასთუმნის შტოთი. კრებამ საბოლოოდ შემდეგი სია შეიმუშავა გასაყვან გზებისა; პირველ რიგში შეტანილ იქმნა შემდეგი გზები: 1) თბ.-კავკავის უღელტეხილის 190 ვერსი; 2) ყარს-ტუაფსე—301 ვ. 3) ბორჯომ-ყარს-ოლთისი 351 ვ. 4) ბათომ-ყარს-ბულდაშენი 348 ვ. 5) ბაქო-შემახა-კახი-წნორის წყალი 396 ვ. 6) ყარაბაღისა (განჯა-ლენქორანი) შტოებით 400 ვ.; მისავალი გზები (подъѣздные пути) პირველ რიგისა: 1) ჭიათურისა 20 ვ, 2) თვალჭრელისა 40 ვ. 3) სამტრედია-ხონისა—35 ვ. 4) ოზურგეთ-ნატანებისა—18 ვ. 5) ალაგირ-დარგ-კოხისა 25 ვ. 6) ახალციხე-აბასთუმნისა 20 ვერსი; მეორე რიგისაში 1) კასპიისა (ალიათ-ასტარა) 195 ვ. დანარჩენ რიგისაში მოჰყვა ალაგირ-ქუთაისის გზა—სიგძით 300 ვერსი.

✦ **შავი ქვის მადნის დამუშავება.** მეფის ნაცვლის კანცელარიამ ნება დართო ვ. ი. გოგობერიძეს და პ. ი. რუხაძეს გამოკვლევანი მოახდინონ შავი ქვის მადნებში შორაპნის მაზრის სოფ. ზედა-რგანში და ქუთაისის გუბ. დაბა ქატორ-ღელეში.

### ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ახალი საიჯარო მამულები.** ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, ავლაბარსა და სხვა უბნებში იმ წესით მიჰყიდოს მამულები მოიჯარადრეთ, რა წესიც არსებობს ნაძალადევისა და ლოდკის გორის მოიჯარადრეთა შესახებ. ამ აზრით გამგეობამ მამულების შესახებ ცნობები მოსთხოვა საქალაქო მამულების გამგე განყოფილებას.

✦ **მეშეშეების შუამდგომლობა.** თბ. მეშეშეებმა განუცხადეს ქალაქის გამგეობას, რომ შემდეგ იმისა, რაც შეშის მისაღები სადგური გადიტანეს საჯირითო მეიდნის იქით მეტად გაძვირდა შეშის შემოტანა თბილისში ასე, რომ საჟენ შეშის შემოტანა თბილისში ჯდება 40 მანეთი, ე. ი. იმაზე მეტი რაც ალაგიდან თბილისში ჩამოტანა ჯდება. ქალაქის გამგეობამ ამის გამო შუამდგომლობა აღძრა ჯარების გადაყვანის საქმის მთავარ უფროს გენერალ კარპოვთან, რომ სადგური ისევ ძველ ბინაზე გადმოტანილ იქმნეს.

### სხვა და სხვა ამბები.

✦ **კლუბების წარმომადგენელთ** 16 ამა თვესაც ჰქონდათ კრება, რომელიც ისევ დაუბრუნდა საკითხს სატრაქტირო გადასახადის შესახებ. კრებამ უსამართლოდ მიიჩნია ქალაქის საბჭოს მიერ კლუბებზე შეწერილი 36 ათასი მანეთი სატრაქტირო გადასახადი და დაადგინა სთხოვოს საბჭოს ხელახლა განიხილოს ეს საკითხი და თავისი პირველი გადაწყვეტილება შესცვალოს.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მარიამობისთვის № 8 მოზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის №№ 15 და 16.

✦ **მასწავლებლის ძიებაში.** ქართ. საქველმოქ. საზ. გამგეობა საჩქაროდ თხოულობს მასწავლებელს, სოფ. თოკის (ახალ-ქალაქის მაზრა) სკოლისთვის. ჯამაგირი მიეცემა თვეში 100 მან. ბინა, მოსამსახურე და შეშა. მთხოვნელმა 25 ღვინობისთვემდე უნდა მიაწოდოს ცნობა ქ. საქველმოქ. საზ. გამგეობას, თბილისში სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ქარვასლა.

✦ **ცხოველების მომშენებელ საზოგადოებას** მორიგი კრება ჰქონდა 14 ამა თვეს. თავმჯდომარეობდა ლ. ი. ლესნიაკი. კრებამ დაადგინა სთხოვოს მეფის ნაცვალს მ. ი. უ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს იკისროს საპატიო თავმჯდომარეობა საზოგადოებისა. შემდეგ კრებამ შეიწყნარა გამგეობის წინადადებანი: 1) მიეცესთ მეურნეთ საჩუქრის სახით დიპლომი და სხვა და სხვა ხარისხის მენდლები გაუმჯობესებული ჯიშის საქონლის მოშენებისათვის და 2) აღიძრას შუამდგომლობა მიწადმოქმედების დეპარტამენტისა და ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ პირველი მათგანი დაეხმაროს საზოგადოებას წლიურად 5000 მანეთით, ხოლო მეორე 7000 მანეთით.

✦ **ამომრჩეველთა გამგზავრება.** გაემგზავრნენ პეტროგრადში სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველნი თბილ. გუბერნიის თ-დ აზნაურობის მხრივ თ-დნი კ. ნ. აბხაზი და ე. დ. ჩოლოყაშვილი, ხოლო ქუთაისის თავ.-აზნ. მხრივ. თ-დნი დ. ო. ნიჟარაძე და ო. თ. დადეშქელიანი.

✦ **გაემგზავრნენ** ყუბანის ოლქში ქალაქის წარმომადგენელნი ლ. თ. ტიგრანოვი; ა. მ. არგუთინსკი დოლგორუკოვი, ქ. ვ. კალანტაროვი, ე. ი. მაზმანოვი ქ-ნ ბეგთაბეგოვის ნაანდერძევ მამულის ჩასაბარებლად, რომელიც ქალაქს უანდერძა. მამული ზომით 1000 დეს. მიწას უდრის და ამ ჟამად 1 მილიონ მანეთის ღირებულობას წარმოადგენს.

✦ **მეძავთა ბინა.** ბებუთოვის ქუჩაზე № 10 პოლიციამ აღმოაჩინა მეძავთა ფარული ბინა. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

✦ **ქალაქის ცენტრ. ფურნე.** გადაწყვეტილია ქალაქის ცენტრალურ ფურნის გაფართოება.

✦ **სახლის ბინების საქალაქო კომისიამ,** განიხილა საქმე სახლის პატრონის ბილანიშვილისა (ყაზბეგის ქუჩა № 9) რომელმაც გამოაძევა და ცისქვეშ დასტოვა უმწეო წვრილშვილი ქლენტისა და დაადგინა, ვინაიდან ბილანიშვილს მხოლოდ სახლის ფასის მომატება უნდოდა და სხვა არაფერი საბუთი არ ჰქონდა მის წინაშე აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ადმინისტრატიულ სასჯელის მისჯის შესახებ.

✦ **შეიპყრეს გამოქცეული ჯარის კაცნი:** კ. დ. არუთინოვი, კ. ა. არამიანცი, დ. ე. ბუკა-მელნიკი და ყველა საკომენდანტო გამგეობაში წარუდგინეს.

✦ **ქურდობა.** 1) წინანდლის ქუჩაზე ე. ფ. ბაბეკოვის ბინიდან, ვიღაც უცნობებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთი 260 მან. ღირებული, 2) ფერმა ალექსანდრეს ქუჩაზე გატეხეს ფ. ხარაზიანის ბინა და 57 მან. ნივთეულობა წაიღეს, 3) ელისაბედის ქუჩაზე გატეხეს ნ. სავ. დარახანიას ბინა და წაიღეს ძვირფასი ნივთეულობა 3470 მანეთისა. 5) კიროჩნი ქუჩაზე გატეხეს ი. ბ. ცეიბის სახლი და წაიღეს სხვა და სხვა ნივთეულობა 585 მან. ღირებული.

✦ **საგანგებო კრება.** 16 ღვინობისთვეს საგანგებო კრება ჰქონდათ სასტუმროებისა, რესტორანებისა, საკანდიტეროებისა და სხ. პატრონთა სა-

# ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

4.

იარა პორფირემ ქალაქში, თუ რამე საქმე ჰქონდა, გააკეთა, საკმაოდაც დაიღალა სიარულით, მაგრამ ჯერ კიდევ ადრე იყო დიდკაცის სადილობამდინ. გასწია ჰავლაბრისაკენ. იქ ხიდის ყურზედ, ეგულებოდა თავისი სოფლელები: ყველი, ერბო, მატყლი და ათასი სხვა მოჰქონდათ გასასყიდათ. პურის ჭამაზედ მიასწრო. გაესაღებინათ საქონელი და მყიდავ-გამყიდავთ ღვინო ჩამოესხათ. მიუჯდა სუფრას, მწვადი ახლიჩა, შენაყრდა, დალია. თითონაც ჩამოუსხა. სმა-ჭამის საღერღელი აეშალა და დიდის სიამოვნებით დაათავებდა სადილს იქვე, მაგრამ არ შეიძლებოდა: უსათუოდ უნდა სწვეოდა სადილად თავის დიდკაც მეგობარს. შეზარხოშებული ხომ არ მივიდოდა განათლებულ სახლში! დროსაც გაევლო, მოსულიყო წასვლის ჟამი.

მშვენიერი სადილი იყო პეტრესას გაწყობილი. მზარეული ერთი იყო, მიმრთმევ-მომრთმევი სხვა ედგათ თავს დაკვართული. გაქათქათებული სუფრა, ხელსახოცები; ფაიფურის ჭურჭელი, ვერცხლის კოვზები, ძვირფასი დანა-ჩანგალი თუ სხვა სახმარი ჭურჭელი. ამზრდელი ქალი პატარების გვერდით. საჭმელები ნაირ-ნაირი. მუხლმაღალი წკრიალა ჭიქები სასმელებისთვის. გარნა ახ, არავითარი თავისუფლება სუფრაზედ, არც შვება და ღიმილ-სიცილი. დიასახლისა მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ წეს-რიგი არ შერყეულიყო. ყველა ფრთხილობდა ტაბლაზედ, რომ შენიშვნა არ მიეღო ქალისაგან, თვით სახლის ვაჟკაციც: სტუმარიც უნებლიეთ განიმსჭვალა ამგვარი რამ შიშით და სცდილობდა მთელი ყურადღება მიეპყრო თვის მოძრაობათათვის, რომ რაიმე უხერხულობა არ მოჰხდენოდა სადილზედ და უკმაყოფილება არ აღეძრა ვისიმე, ან დამცინავი ღიმილი არ გამოეწვია მოინახეთა ბაგეზედ. მაინც სადილი თითქო ისე მწყობრად და კმაყოფილებით არ მიდიოდა, როგორც შეჰფეროდა; რაღაცა მძიმე გრძნობა დასტრიალებდა სუფლას, შვების შემხუთავი, თითქო უსიამოვნო ქარიშხალის მომასწავებელი. სუფრაზედ ერთი ადგილი ცარიელი იყო, საკერძე ჭურჭელს პატრონი არა ჰყვანდა. სწორეთ ლადიკოსი უნდა ყოფილიყო ის ადგილი და სტუმარმა იკითხა გულუბრყვილოდ:

— თქვენი ვაჟი სადღა არის? ალბათ სტუმრად იქნება ტოლ-სწორში მიწვეული.

— მართლა და აქამდის სად არის ი ყმაწვილი? ვინ იცის დილას აქათ შინ აღარ შემოსულა—,მიჰმართა პეტრემ ცოლს.

— შენა ხარ მამა მისი და შენვე უნდა იცოდე მისი გზა-კვალი! ისე მიგიშვია საბელი, რომ კეთილს ჯარ შეემთხვევა იგი,-შეჰმართა დიასახლისმა მკაცრად.

და ლოყა აუთრდოლდა გამწვანებულ სახეზედ, ჩანგალი აუთამაშდა გამხმარ თითებში, მაგრამ მალე მიჰხვდა თქმის შეუფერებლობას და ნაძალადევი ღიმილით მიუბრუნდა სტუმარს:

— აქაო და მოზრდილი ვაჟი მყავსო, ძალიან ანებივრებს ლადიკოს, მეტს ნებას აძლევს. მეშინიან, სახიფათო არ შეიქმნეს ახალგაზდისათვის ესეთი თავისუფლება: ათასნაირი აღზრდისა თუ ხასიათის ამხანაგები ახვევიან გარს და ვაი თუ შეუსაბამო რამე მიმართულება მისცენ.

— რამდენი ხნისა გახლავსთ თქვენი ლადიკო?

— აგერ მეთექვსმეტეში სდგას,-მიუგო დიასახლისმა

და შეხედა ქმარს, რომ მას მოუფიქრებლად სიტყვა არ გაესწორებინა მისთვის. იტყუა ქალმა და მისთვის ეშინოდა სიტყვის შებრუნებისა: მთელი წელიწადი გადამალა შვილის წლოვანობიდან.

— მერამთენე კლასში გახლავსთ, ჩემო ბატონო?—განაგრძო პორფირემ.

— მეხუთეში გადავიდა წლეულს. ეხლა მეექვსეშიც უნდა იყოს საცა სამართალია, მაგრამ კარგა ხანი დაკარგა ავადმყოფობის გამო, დასძინა დიასახლისამ სიცრუვეს სიცრუვე.

ლადიკომ აგერ ორი წელიწადი დაჰყო მეოთხე კლასში და ეხლაც არ იყო გადასული მეხუთეში, სამ საგანში ჰქონდა დანიშნული განმეორებითი გამოცდა, როგორც ეწერა მიცემულ ცნობებში. ისიც დაემატებინათ, თუ ვერ შესძლო პირნათლად გამოსვლა გამოცდებიდან, დათხოვნილი იქმნება, რადგან უკვე ბევრი ხანი იჯდა ერთსა და იმავე კლასში და წლოვანობითაც ერთობ დიდიაო. ეს ყველაფერი დამალა დიასახლისამ: თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა მას გაემხილებინა უცხო კაცთან ოჯახის მოუნელებელი დარდი, შეესხნა ის იარა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ცოლ ქმარს და მარად ჟამს აწუხებდა მთელ სახლს. ამ საგანმა უფრო ჩააფიქრა სუფრა, რომელიც ისეც არ იყო მხიარული და გულგაშლილი. ფრთა შეეჭრა სიტყვას და შემძიმდა. სახლის ვაჟკაცი სცდილობდა ისეთ საგანზედ ჩამოეგდო ლაპარაკი, რომ მიეზიდნა ყველანი და სასიამოვნო ყოფილიყო მსმენელთათვის, მაგრამ სახალისო აზრების მაგივრად გონება სამმართველოს საქმეებს და ამბებს აწვდიდა, ლურჯ ყდაში ჩამსხდარ, ანუსხულ და ზეწარწერილ სამდივნო ეტრატებს, ხოლო მხატვლი ნიჭი მისი თვალთ წინ ცოცხლად უყენებდა მას ხელქვეითთა დაღრეჯილს სახეებს, რომლებიც ისეც ჭირივით მოსძულებოდა. რა სასიხარულო საგნები იყო ეს ან რა შესაქცევარი მისთვის თუ სხვისთვის?! ჩაიკემსა საერთო საუბარი, ჩაწყდა შიგა და შიგ, თითქმის ჩაშლაზედ მიდგა. დიასახლისა კი უკვე ალესილ-ალეწილი იჯდა, და, აშეთებდა წამოვარდნილ თვალის კაკლებს; ბრაზს გახეთქავდა იგი სწორედ, თუ სიყრმიდგან მტკიცედ შეთვისებულ ზრდილობას არ შეეკავებინა ბუნებით ფიცხი ადამიანი. ისიც აწუხებდა ქალს, რომ მთელ სადილობის განმავლობაში რაღაც მძიმე სუნი ესმოდა ნელსაცხებელთა საამო ფშვენას შეჩვეულ მის საყნოსელს, გვერდზედ მჯდომ სტუმრის სხეულისა თუ ტანთსაცმელის სუნი უხვევი.

— ალბად სოფლად ტეტიებთან თუ საქონელთან სიახლოვემ გადააჩვია ეს კაცი სიფაქიზეს, რომ სუფთად ჩაცმულსაც კი რაღაცა ზინზლის სუნი აჰყოლია. ან ვინ იცის სადილ წინ ვისთან იყო და სად; შეიძლება, იქიდან მოსდევს ეს მძიმე სუნი,—ფიქრობდა ქალი.

და რომ შესაძლო ყოფილიყო, სწორედ ნელსაცხებელს დაასხავდა თავზედ თვის სტუმარს ისე უხვად, რომ გადმოდენილიყო წვერთა ზედან მისთა და სამოსელთა. თანამოინახენი გაჭირვებიდან გამოიყვანა თითონ ლადიკომ, რომელიც აჩქარებით შემოვიდა ოთახში და დაიჭირა სუფრაზედ თავისი ადგილი. დედ-მამამ მკაცრად შეხედეს შვილს, მაგრამ ხმა აღარ გასცეს სტუმრის ხათრით. თითონ ახალგაზრდას კი აინონშიაც არ მოჰქონდა თავისი უხერხული შეგვიანება: ხასად იქცეოდა, მსახურებს ხმა მაღლა უბრძანებდა, სუფრაზედ აქეთ-იქით სწვდებოდა, მოუზომელ სიტყვას ამბობდა; დაუდეგარი ბალღივით ირჯებოდა უკვე ჭაბუკი— სტუმრის ყურადღებაც მიიქცია მისმა კადნიერმა მიხვრა-მოხვრამ.

— იცი, მამი, საღამოზედ წარმოდგენა გვაქვს გამართული. ხვასტუნოვიანთ დარბაზი დავგითმეს და იქ ძალიან სასაცილო კომედიასა ვსდგამთ ორ-მოქმედებიანს. იმათი ქალებიც იღებენ მონაწილეობას. ვარინკა ნამდვილ მსახიობია და, რომ გაიზრდება, დიდ სცენაზედ გამოვა.

— არ მომწონს შენი მარად ეგეთი გართობები. შენი ცხოვრების გზა სულ სხვა უნდა იყოს და იგი სარბიელი დიდ მომზადებას მოითხოვს: ეხლა წიგნი გესაჭიროება და დაუღალავი შრომა განათლების მისაღებად. ეხლავე უნდა შეეჩვიო ბეჯით მუშაობას, რომ მერმე აღარ გაგიჭირდეს. დროზედ უნდა გაათაო გიმნაზია, მერმე, ღმერთო, შენით, უნივერსიტეტი დაასრულო, რომ სინამ ცოცხალი ვარ ჩაგაყენო ღირსეულ სამსახურში და გიწინამძღვრო; შენ კი, პირდაპირ გეტყვი ამ ჩემ ძვირფას მეგობართან, შეუფერებლადა ცელქობ ამ ბოლო ხანს და გადაჭარბებით.

— არა უშავს რა, მამი! ერთ კვირასაც დავისვენებ და მერმე შევუდგები მუშაობას; აღარც ერთ დღეს არ გავაცდენ, ხომ იცი, თუ მოვინდომე, მალე მოვასწრობ ყველაფერს,—უთხრა ჭაბუკმა და განაგრძო:

— იცი, მამილო, სცენას ვაწყობთ და ერთი თუმანი მაინც არის საჭირო ხარჯისათვის. მომეცი ფული! ეხლაც იქა ვმუშაობდი და იმაზედ შემიგვიანდა ცოტა; მალე უნდა გავიქცე იქვე, თორემ ვერ მოვასწრობთ.

პეტრემ კარგად იცოდა, რომ მისი ლადიკო იმ ფულს არავითარ სცენას არ შეახმარებდა, მაგრამ არ უნდოდა სტუმრისთვის მეტი ეჭვი შეეტანინებინა ვაჟის ქცევის შესახებ, ისეც ბევრი სთქვა მასთან, როგორც შეატყო ცოლს თვალებში;დარდიმანდ კაცადაც ჰსურდა დაესახა თავისი თავი ნაამხანაგარის წინაშე და ამოიღო თალათინის ქისა, ერთი წითელი გადაუგრიალა ბიჭს. დედას ალმური ემატა სახეზედ, მაგრამ არა სთქვა რა: იცოდა გამოცდილებით, რომ თავწასული ახალგაზრდა გაჟინიანებოდა, აურზაურს ასტეხდა, არაფერს დაირცხვენდა და გაშლიდა სტუმრის წინ თავის მარიფათებს.

*) იხ. „საქართველო“ № 231.

ზოგადოების წევრებს. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა განხილვა საკითხისა ქალაქის საბჭოს მიერ შეწერილ სატრაქტირო გადასახადისა. წარსულ წელში ეს გადასახადი უდრიდა 80 ათას მანეთს, წლეულს-კი საბჭომ 44 ათასი მანეთით გაადიდა, ესე იგი 124 ათასი მანეთი შეაწერა. საბჭოს ასეთი დადგენილება კრებას უსამართლოდ მიაჩნია. ამიტომ კრებამ დაადგინა განასაჩივროს საბჭოს გადაწყვეტილება და თუ საჭიროება მოითხოვს, სენატამდის მიიყვანოს საქმე. ამ საჩივრის გასაძღოლად გამგეობამ უნდა მოიწვიოს ნაფიცი ვექილი და სასყიდლად მისცეს 500—1000 მანეთამდე. ბესლანიდან კარტოფილის მოსატანად საზოგადოებისათვის დაუთმია სასურსათო კომისიას სამი ვაგონი. კრებამ დაავალა გამგეობას ისარგებლოს ამ ვაგონებით და უთუოდ მოიტანოს კარტოფილი. აგრეთვე დადგენილ იქმნა გამგეობამ იშოვნოს 1 ვაგონი კიევიდან შაქრის მოსატანად. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა დააარსოს გამგეობასთან ურთიერთშორის დამხმარე კასა პაიებით და თითო პაი უნდა ღირდეს 50 მან. 200 პაიზე მაშინვე ჩაეწერნენ წევრები.

◆ **შოფერების კურსები.** ვაჭრობა და მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა „ი. მ. ბალაბუევისა, მ. პ. ვინოგრადოვის და შაპელნიკოვის“ ფირმით კურსები შოფერებისა ქ. თბილისში. კურსების ზედამხედველობა დაევალა უფროს საქარხნო ინსპექტორს ბ. სუშჩევსკის.

**ჭიათურა.**

აქ ჩამობრძანდა „ჯეჯილის“ რედაქტორი და მწერალი ქალი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა დაათვალიერა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პატ. მწერალ ქალზე.

— ერთი კვირაა, რაც დაიწყო ისევ შაქრის შიმშილობა, შაქარი წამლადაც არ იშოვება.

შაქრის შიმშილობას თან მოჰყვა პურის შიმშილობაც, თუმცა პური იშოვება, მაგრამ ყოვლად უვარგისი, მატლებით სავსე და გამოუმცხვარი, რის გამოც მრავალ ოჯახში ავადმყოფობა გაჩნდა.

მომხ. საზ. „ჩვენი ოჯახის“ (ადგურთან) ეზო ერთობ გაბინძურებულია, როგორც წინ ისე უკან და საშინელი სუნი სდგას. საჭიროა ყურადღება და წყლის სავალი თხრილების ამოწმენდა.

# შავი ქვის მრეწველთა საგანგებო ყრილობა ქუთაისში

15 ოქტომბერს ქუთაისში გაიხსნა მრავალ რიცხვოვანი და საგულისხმო ყრილობა ჭიათურის მრეწველთა, რომელსაც შავი ქვის საქმით დაინტერესებული ქართველი საზოგადოება დიდი ხანია მოელოდა. სალიკვიდაციოდ გამოცხადებული გერმანელთა მამულები ჭიათურაში დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს. ფრიად მოსაგებიანი საქმის შესყიდვა ქართველთაგან დიდი ხანია უეჭველ საჭიროებად იქმნა აღიარებული და ამიტომ მოელოდა ქართველი საზოგადოება ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა ყრილობას. მრავალი დაბრკოლების შემდეგ ყრილობა ნება დართულ იქმნა და გაიხსნა საოლქო ინჟინერის ა. გრ. ცეიტლინის თავმჯდომარეობით. მდივნის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა შავი ქვის საბჭოს თავჯდომარის თ-დ კიტა აბაშიძის მოხსენება სალიკვიდაციოდ გამოცხადებულ მამულების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ორივე გასასყიდ ფირმის მამულების რაოდენობა შეადგენს 1558 ქცევას. და მოწყობილი აქვს ორი შავი ქვის სარეცხი ქარხანა, რომელთაგან ერთი რეცხს 4 მილიონ ფუთს და მეორე 9 მილიონს. მთელი ქონება შეფასებული იქნება არა უმეტეს 5 მილიონ მანეთისა, ხოლო ორივე ფირმა ჭიათურის მრეწველობაში იმდენად მნიშვნელოვანია და ისეთი გავლენა აქვს სხვა ფირმებზე, რომ ვინც ამ მამულებს დაეპატრონება, უსათუოდ გაბატონდება მთელ ჭიათურის მრეწველობაზე. სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ხაზინას თვით არ შეუძლია დაისაკუთროს ეს მამულები და იძულებულია გადასცეს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანზაციას, ან კაპიტალისტთა ჯგუფს, რომელთა შორის საზოგადოებრივ ორგანიზაციას უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მიიღოს ეს წარმოება და მათ შორის ყველაზედ მეტი უპირატესობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რადგან საბჭოს მოღვაწეობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი აარსებს საავადმყოფოებს, სკოლებს, გაჰყავს გზები და სხვა. ასე რომ თვით მთავრობისთვის საგანგებო ყრილობას დაესწრენ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი, იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი პ. ა. წერეთელი, ყოფილი გუბერნიის მარშალი თ-დი ს. დ. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, მოსკოვის ვექილი ევგ. ვას. კანდელაკი, გაზეთ „საქართველოს“ განსაკუთრებული წარმომადგენლები გრ. ვეშაპელი და ლევ. ჯაფარიძე და სხვანი.

ხელსაყრელია ამ დაწესებულების წარმატება. მართალია, დღეს საბჭოს შესაძენად საჭირო ფული სრულებით არ მოეპოვება, მაგრამ შესაძლოა, რომ ხაზინა თუ მხედველობაში მიიღებს ყველაფერს ზემო აღნიშნულს, საბჭოს დაეხმაროს სესხის სახით, მით უმეტეს, რომ ეხლახან მთავრობა თვალსაჩინოდ ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აუცილებლად საბჭოს მოღვაწეობასაც გაუწევს ანგარიშს.

ყველა ზემო აღნიშნულის გამო შავი ქვის მრეწველთა საბჭო, სთხოვს ყრილობას, ნება დართოს მას, აღძრას სათანადო შუამდგომლობა წესდების საჭირო მუხლის შეცვლისათვის და ხაზინიდან, ან სხვა წყაროდან სესხის აღებისა და აუცილებელ მდგომარეობაში კაპიტალისტებს და ბანკებს შეუთანხმდეს. თ-დ კიტა აბაშიძის სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიმართა თხოვნით ნიკო ნიკოლაძეს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ბ-ნმა ნიკოლაძემ კატეგორიულად უარჰყო მომხსენებლის წინადადება, რომ ხაზინას მიმართონ სესხის ასაღებად, რადგან ესეთი შუამდგომლობა ისე დააფრთხობს ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო კანტროლს, რომ ადვილად შესაძლებელია, საქმე სრულიად გაფუჭდეს, მით უმეტეს, რომ საჭიროება არც კი მოითხოვს ასეთ სესხს ხაზინისაგან. შავი ქვის საბჭო დღევანდელ საერთო მდგომარეობაში ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც სავსებით აღჭურვილია საკრედიტო ნდობით. შავი ქვის მადნისაგან კეთდება ფოლადი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფოს თავდაცვის საქმეში და დიდი გასავალი აქვს, ეხლაც და შემდეგშიაც ექმნება. საბჭოს აქვს საშუალება ყოველთვის აუნაზღაუროს ვალი, რადგან მას შეუძლიან გააწესოს მრეწველებზედ ორ კაპეიკიანი—საფუთო გადასახადი ჭიათურიდან გატანილ ქვაზედ, რაც წლიურად ორ მილიონს შეადგენს და ჯერ-ჯერობით კი დაწესებულია მხოლოთ $1^1/_2$ კაპიკი და $^1/_2$ კაპიკი კი დაზოგვილია, რაც 500 ათას მანეთს წარმოადგენს. გარდა ამისა, გაყიდულ მამულებისაგან შემოსული ფული ჩვენი მეომარ მოწინააღმდეგის საკუთრებას შეადგენს და გადაეცემა მათ მხოლოდ ზავის ჩამოგდების შემდეგ და მთავრობას შეუძლიან ადროვოს საბჭოს დაუყონებლივი გადახდა საფასურისა. ამ ორ ფირმას ისეთი მნიშვნელობა და გავლენა აქვს, რომ ყოველი ძალა უნდა ვიღონოთ, რომ იგი შევისყიდოთ, რადგან მისი დასაკუთრებით ჩვენ შევძლებთ შევაერთოთ ჭიათურის მრეწველები და შევქმნათ ერთი ძლიერი სინდიკატი, რომელიც წინაღუდგება იმ ფასების აწევ-დაწევას, რომელიც დღეს სპობს მრავალ წვრილ მრეწველს. ამ მამულების შესყიდვის შეჯიბრებაში მრავალი მოჭიშპე ჩნდება, მაგრამ არც ერთს იმათგანს არა აქვს ის უპირატესობა, რომლითაც საბჭოა აღჭურვილი. მათ ამოქმედებს კერძოდ გამდიდრების სურვილი და სხვა და სხვა სფერები მიზნის მისაღწევად მათ საბჭომ არავითარი ანგარიში არ უნდა გაუწიოს და თითონ მარტო ეცადოს შეიძინოს ეს ძვირფასი მამულები და ყრილობამაც უნდა მიანდოს საბჭოს სათანადო შუამდგომლობის აღძვრა და მოქმედება.

თ-დი კიტა აბაშიძე ეთანხმება ბ-ნ ნიკო ნიკოლაძეს და დასძენს, რომ ხაზინიდან სესხის აღების დიდი იმედი არც იმას აქვს.

მოსკოველი ნაფიცი ვექილი კანდელაკი ამტკიცებს რომ საბჭოს, როგორც იურიდიულად უფლება მოსილ პირს სრული უფლება აქვს წესდების ძალით შეისყიდოს გასასყიდი მამულები და ამასთან წინადადებას იძლევა ყოველ შემთხვევისათვის ნება მიეცეს საბჭოს თუ საჭირო იქნება სათანადო შუამდგომლობაც აღძრას ხაზინისაგან სესხის აღებისათვის.

ბ-ნი გრ. ვეშაპელი აცხადებს, რომ თ-დმა კიტა აბაშიძემ თავის მოხსენებაში დაასაბუთა აუცილებლობა სალიკვიდაციო მამულების შეძენისა საბჭოს საკუთარი ძალებით; ამავე დროს მოხსენების სარეზოლიუციო ნაწილი ითხოვს, რათა საბჭოს უფლება მიენიჭოს აგრეთვე სხვა დაწესებულებებთან ანუ პირებთან შეერთებისა მამულის შესაძენად. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და საჭიროებს წინასწარ გამორკვევას.

თ-დი კიტა აბაშიძე შეუძლებლად სცნობს გრ. ვეშაპელის წინადადების მიღებას და ითხოვს რომ საბჭოს მიენიჭოს ყოველ შემთხვევისათვის სრული თავისუფლება მოქმედებისა.

ამის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო საბჭოს წინადადება.

ა. ი. გამრეკელის წინადადებით ერთხმათვე არჩეულ იქმნა საბჭოსთვის ამ საქმეში დამხმარე კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ნიკო ნიკოლაძე, თ-დი პეტრე წერეთელი და ან. ლევ. ქავთარაძე.

(დასასრული ხვალ)

# ქ. დორპატის სათვისტომო

თუ სასტუდენტო ქალაქებში დღევანდლამდე არსებობდა სხვა და სხვა გვარი სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებანი, ეჭვი არ არის, მათი არსებობა დღეს უფრო უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს—მით უფრო ჩვენთვის, ქართველთათვის, რომლებიც საკუთარ კერას მოვშორებივართ იმ მიზნით, რომ როგორმე საჭირო ცოდნა შევიძინოთ და, შეძლებისა დაგვარად, ჩვენს ოჯახსა და მამულს დავეხმაროთ. როდესაც საქართველოდან მოსულ გაზეთსა ვკითხულობთ, თვალები ცრემლით გვევსება; ვხედავთ, რომ იქ უფრო გაცილებით ყველაფერი იაფია და ჩვენ კი ძვალსა და რბილს ამ გაცივებულ ქვეყნებში ვაავადმყოფობთ. წინად თუ 25 მანეთად აქ, დორპატში, კარგად იცხოვრებდით, დღეს ექვს და შვიდ თუმნად იმგვარადაც ვერა სცხოვრებ.

აი, სწორედ ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს ყოველგვარმა საზოგადოებამ, სათვისტომომ და, თუ აქამომდე თავს იწუხებდა, დღეიდან უფრო მეტად უნდა შეიწუხოს.

ქ. დორპატის სათვისტომო ერთი პირველ სათვისტომოთაგანია. მას ძალიან ბევრი სასარგებლო პირნი აღუზრდია, და, აი, მის სახეს დღესაცა, ვხედავთ. კვირას, ღვინობისთვის 9-ს შესდგა ზაფხულის შემდეგ პირველი კრება, რომელმაც აღმოაჩინა, რომ წელს სათვისტომოს წევრი მხოლოდ ოცდა ხუთ კაცამდეა. ეს არც თუ გასაკვირველია, რადგან ძალიან ბევრი სამხედრო სამსახურში წაიყვანეს, ბევრმა გაათავა და ახლებს კი, მოგეხსენებათ, როსტოვსა და სარატოვს იქით არსად უშვებდნენ. მცირედად მაინც საიმედოა ის, რომ, აღნიშნულ წევრთა გარდა, ემატება ხუთი საზეითლო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელნიც როსტოვ-სარატოვში ვერ მოხვდნენ და აქეთ გამოსწიეს, და სამიც ქალი. ასე, რომ წლევანდელი რიცხვიც საკმარისია, თუ მეტს ფხას გამოიჩენენ.

როგორც გამგეობის მიერ მოხსენებული წლიური ანგარიშიდან გამოირკვა, წასულ სამოსწავლო წელს სათვისტომოს ჰქონია შემოსავალი 342 მან. და 79 კაპ., გასავალი 174 მან. მაშასადამე, დარჩენილა 168 მან. 79 კაპ. გარდა ამისა გამგეობის მოლარეს ნ. გრიგოლიას, ერთი სხვა პირის დახმარებით, კერძო სათვისტომოს სასარგებლოდ მოუგროვებია 133 მან. და ერთი აბაზი. სულ სათვისტომოს აქვს 301 მან. და 99 კაპ. მთელი წლის განმავლობაში სათვისტომოს ბიბლიოთეკის წიგნებით უსარგებლია ბევრს, ამავე დროს გამგეობას ნივთიერი და წიგნებით დახმარება აღმოუჩენია დორპატში მყოფ ქართველ ჯარისკაცებისათვის და სხვა... დაწვრილებით ნამდვილად როგორი იყო გამგეობის მოქმედება, გაარჩევს შემდეგი კრება, რადგან ამ კრებისათვის სარევიზიო კომისიის მოხსენება განიხილება. ჩვენ კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ თანხით და ჯერ კიდევ ახლავე შესავლელი ფულით სათვისტომოს დამშეული სტუდენტებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიან. მაგრამ უფრო საიმედო და სასიხარულო იქნება ის, თუ ამ კრების გადაწყვეტილებათა ერთი მუხლი განხორციელდა. ეს გადაწყვეტილება ასეთია: „ითხოვოს ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას, აღმოგვიჩინოს მატერიული დახმარება“-ო. მართლაც და განა შეიძლება აღნიშნულ საზოგადოებამ უყურადღებოდ დასტოვოს თხოვნა მათი, ვინც ცხრა მთას იქით, უცხო მხარეში გადაკარგულა და დიდს სივიწროვეს განიცდის?!. ჩვენ ამის იმედი სრულიადაც არ გვეკარგება, რადგან საქველმოქ. საზოგადოებამ თავის თავი თვისის მოქმედებით ფრიად სასიამოვნოდ დაახასიათა...

შემდეგი და ბოლო საკითხი იყო: ტრაღიკულად გარდაცვლილ ამხანაგების ს. ბაღურაშვილისა და გ. ხერხეულიძის ხსოვნა სათვისტომოში რითიმე აღინიშნოს. ამ კითხვის სრულსაყოფელად საგანგებო კომისია ამოირჩიეს.

კრების დაწყებისას ამ გარდაცვლილ ამხანაგების ხსოვნას კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

მიხ. კიაზოშვილი.

# ქარ. საქველმოქმედო საზ. წლიური კრება

(გაგრძელება)

**აჭარა-ქობულეთის სკოლების მეთვალყურის მოხსენება.**

ბ. კობახიძის შემდეგ აჭარა-ქობულეთის სკოლების მეთვალყურემ ბ-ნ იერემია გულისაშვილმა შემდეგი მოახსენა კრებას:

„როგორც მოგეხსენებათ, [illegible] ქართულ საქველმოქ[illegible] დამხმარებასთან ერთად განიზრახა თავის ხარჯით და თაოსნობით გახსნას აჭარაში ნამდვილი ეროვნული სკოლები 1914 წ. პირველ ივლისის კანონით. ეს კანონი ნებას აძლევს ყველა კერძო სკოლას სწავლა-აღზრდის საქმე მშობლიურ ენაზედ აწარმოვონ. ამ განზრახვით გავემგზავრენით ბათომისაკენ წარსული წლის 25 ქრისტეშობისთვეს მე და ბ. არ. წითლიძე, რომელთაც საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მოგვანდო ეს დიდი საქმე—აჭარაში სკოლების გახსნა-მოწყობა. მრავალ წმინდა ტეხნიკურ სიძნელესთან ერთად დაბრკოლება შეგვხვდა ბათომის ოლქის ადმინისტრაციასა და სამოსწავლო უწყებისაგან. ბევრი ტანჯვა-წამების შემდეგ მივიღეთ როგორც იყო დასტური და მყისვე შეუდექით ჩვენს ნაკისრს მოვალეობას. ადმინისტრაცია-სამოსწავლო უწყებასთან ბრძოლასთან ერთად ჩვენ თან ვამზადებდით ნიადაგს ჩვენი მომავალი საქმისათვის. ამიტომ ნებართვის აღება და სკოლების გახსნა ერთი იყო. პირველად შეუდექით საქმეს კინტრიშის ხეობაში. ეს ხეობა, გურიის მოსაზღვრეა, იწყება მდინარე ჩოლოქიდან და სწყდება კახაბრის მინდორთან, ბათომს იქით. მთელ ამ ხეობაში სამოცამდე სოფელია, დასახლებული ქართველი მუსულმანებით, თითქმის ორმოცი ვერსის სიგრძეზე. აქედგან რომ მივდივართ, მარცხნივ ევლება თითქმის მთელს სიგრძეზედ შავი ზღვა, ხოლო მარჯვნივ მთელსავე სიგრძეზედ დაჰყურებს მაღალი ქობულეთის მთაგრეხილი, რომლის მაღალ კალთებამდე შეფენილია სოფლები.

სიტურფით, სინოყიერით ეს ბუნების წალკოტი აღემატება ყოველს ადამიანის სურვილს და ნატვრას. ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ჩაი და ყოველნაირი სუბტროპიკული მცენარეობა შეადგენს მის სიმდიდრე-სიამაყეს. ჩვილი, ნოყიერი მიწა, რომელსაც არ ეშინიან არც გოლვისა, არც თუ აქაურ დაჟინებულს კოკისპირულ წვიმებისა, ადვილი დასამუშავებელი და გულუხვი მოსავლის მომცემია. იმ შრომით, რაც ქართლსა და კახეთში ერთს დღიურს სჭირდება, აქ ოთხს დღიურს კარგად დაიმუშავებ. აჩიჩქნე და გადაყარე—ზღვად გასქდება; ამოჩიჩქნე და ჩაფალი—დარგულის გახმობა შეუძლებელია. შეგხვდება ყვითლად აკონწლული ფორთოხლის, ლიმონის ან მანდარინის ხე, რომელზედაც ასია ათასი და ხშირად მეტი ძვირფასი ნაყოფი. იშვიათად, მაგრამ გაიგებ აქაურ მკვიდრისაგან: ერთმა ფორთოხლის, ან მანდარინის ხემ თხუთმეტი თუმანი მომცა წელსო. მერე, ბევრსა აქვს ამისთანა ნატვრის თვალი—შემოსავლიანი ხე? მთელს კინტრიშის ხეობაში ამ ხეებს თავის პატრონებით თითებზედ ჩამოგითვლიან. იქნება იფიქროთ მიწის შიმშილი იყოს აქ? თქვენ არ მომიკვდეთ! უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ მრავალს

---

— კიდევ მიირთვი ფლავი!—შეაპატიჟა პეტრემ პორფირე. რუსია ჩვენი მზარეული, მაგრამ კარგად შეისწავლა ქართული საჭმელებიც. მხოლოდ იქნება ერბო ისეთი ხალასი არ იყოს, როგორც ალბათ შენა ხარ ჩვეული, თუმცა საუკეთესო ფირმისა კი არის.

— აბა მაშ მე მოგართმევთ სოფლიდან ერბოს და თქვენ შეადარეთ,—დაჰპირდა სტუმარი, რადგან მასპინძლის სიტყვებში თითქო რაღაცა ნიშნობა იგრძნო მან.

დიასახლისის თვალებში სილბო რამ დაეტყო სტუმრის სიტყვებზედ თუ ღიმილი და თითონაც შესთავაზა საჭმელი.

— საზოგადოდ აქ ბაზარზედ გამოტანილი საზრდო არ არის მაღალი ხარისხისა, ალბათ ნარევია ან ისეც მდარე, იაფფასიანი, თუმცა ერთი სამად გვახდევინებენ ფულს. აი, მაგალითებრ, აქაური ცხვრის ხორცი არ არის ისეთი გემრიელი, როგორიც სოფლად მიჭამია,—განაგრძო პეტრემ.

— მართალს ამბობს პეტრე! რაღაცა ზიზღის სუნიცა აქვს აქაურ ცხვრის ხორცს; ამიტომაც იშვიათად ვუბრძანებ ხოლმე ცხვრის ხორცის ყიდვას,-დასძინა დიასახლისმა.

— ჯიშზედაც გახლავსთ ეგ დამოკიდებული. აი თუშურს ცხვარს არც ერთი ჯიშის ცხვარი არ შეედრება საჭმელად. თქვენ თითონა ჰნახავთ, ბატონო, და დარწმუნდებით, როცა გაახლებთ ნიმუშს სოფლიდან,-დაიმედა მასპინძლები სტუმარმა.

5.

პეტრემ დაპირებისათვის მადლობა გადაუხადა თავის სტუმარს და შეწითლდა ცოტად, როცა ნახა, რომ ენას წაეტყუებინა ის და ნაჩვევ სადინელში ჩაეგდო მისი ჰაზროვნება; ისე მიემართა სიტყვა, როგორც ჩვეული იყო იმათთან თქმას, ვინც განსაზღვრულ საქმისათვის მიდიოდა მასთან.

— ჯამაგირს რომ ვიღებ, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ვასრულებ შესაფერ თანამდებობას, შეუფერხებლივ ვაწარმოებ სავალდებულო სახელმწიფო საქმეს. თუ დრო მოვიჭარბე და ზედმეტად გავისარჯე, მეტ შრომას სასყიდელიც სხვა უნდა; არავითარი ცოდვა არ არის, გაიღოს ფასი იმან, ვისთვისაც ვიშრომებ; სამართლიანიც არის და სიმართლეც, მსჯელობდა მოხელე და თავის შრომის ზედმეტ სასყიდელს წარბშეუხრელად იღებდა ყოველთვის.

— მექრთამეობა ხომ არ იქნება ეგ, ჩემო კარგო?

— სრულებითაც არა! ქრთამი იმასა ჰქვიან, როცა ფასს გამოართმევ მის შესრულებაში, რაც ისეც შენი მოვალეობაა სამსახურის გამო; მორიგი საქმე თუ გააკეთე, ყოვლად შეუძლებელია ამაში კიდევ ვისგანმე აიღო რამე; ხოლო თუ კაცმა გაგაკეთებინა ახალი რამ, ან თუ უფრო ადრე, სინამ წესი იყო, ან თუ მის საზრუნავს ცნობა რამ დასძინე სასარგებლო, მაშინ სავალდებულოა-მეთქი ამისთანა დახმარებისათვის ნივთიერი მადლობის გადახდაც.

— მაინც თაღლითობა ხომ არაფერია შენს მსჯელობაში?

— სრულებით არაფერი! ეს ესეა მაგრამ ჩემ მეგობარ პორფირესაგან... არა, არა მინდა რა მისგან, არც არაფერი მერგება. რა გავუკეთე მას ან რა ვასიამოვნე?! ნუ თუ ისე გავუკაცურდი, რომ აღარ შემიძლიან ერთხელ მაინც დავივიწყო საკუთარი სარგებლობა და გულუბრყვილოდ მივიღო სტუმარი, ჩემი მეგობარი ადამიანი?! —გაიფიქრა პეტრემ

და ეწყინა, შერცხვა თავისი თავისა. უნდოდა ეთქვა ამხანაგისათვის, რომ მისი გამონაგზავნი საჭირო არ იყო მისთვის, რომ ისეც დიდად ასიამოვნა პორფირემ იგი და დაავალა, როცა ნახა და გაახსენა გარდასრული ამბები, თითქო მეორედ გამოაცოცხლა ყველა ის, რაც ოდესმე თავს გადაჰხდომოდათ მათ, მათთვის საგულისხმიერო მოგონებები მათის ცხოვრების აღმოცენებისა და აკოკრების ხანისა; მაგრამ შეხედა ცოლს, მის სახეზედ მხოლოდ სიამოვნება ამოიკითხა პორფირეს დაპირების გამო და ვეღარ გაბედა რისიმე თქმა, ვერც მოახერხა. გაახსენდა მას ცოლთან საუბარი:

— მე თუ მაინც მივიღებ ხოლმე სახლში და სუფრაზედაც კი დავსვამ ვიღაც-ვიღაცეებს, მხოლოდ მისთვის, რომ მათაც და ფასონ ესეთი [illegible] და პატივი გვცენ, როგორც შეუძლიანთ.

— განა ყველანი გაჭირების გამო მოდიან ჩვენთან ჩემი მოსადევარნი და საქმისათვის; ბევრიც ისე მოდის, როგორც ჩემი კარგი ნაცნობი და სტუმარი; ხოლო სტუმარს დახვედრა უნდა.

— სტუმარი! ჰო, თუ ნათესავი იყოს და მოკეთე, ან გამოჩენილი ვინმე, თორე თუ ყველა უბრალო ნაცნობით აავსე სახლი, მალე სრულებითაც აღარ გვექნება მოსვენება, აღარც შენი ჯამაგირი გვეყოფა. დიდკაცის ცოლი! რად მინდა მხოლოდ სახელი, თუ არაფერს შემძენს იგი. დეე მადლობა გადაგვიხადონ მცირედით, ვალათ არ წაუვათ.

პეტრეს ჯალაბსაც ვერ წარმოედგინა ისეთი ყოფა, რომ ხელისუფალი მხოლოდ თავის განწესებულ სასყიდელს დაჰმყარებოდა და იმითი ეცხოვრნა შესაფერად. მაშინ ხომ კმაყოფილი ცხოვრება არ ექმნებოდა განათლებული, არამედ უბრალო რამ ყოფა ნაკლულოვანობით სავსე, არსებობა გაჭირვებული. იცოდა კი განვითარებულმა დიასახლისმა, რომ ქრთამის აღება, ცოდვაა და სირცხვილი, მაგრამ უბრალო მინატანს ისიც მხოლოდ შესაფერ პატივცემად სთვლიდა, იმ ზედმეტი ყურადღების სასყიდლად, რომელიც მიეპყრობოდა მათგან ამისთანა მიმტანს.

მაინც დაუმძიმდა პეტრეს, რომ ვერ უთხრა ამ სტუმარს, თავის საკუთარ მეგობარს, თვისი გულის ნადები, ვერ შეხვეწა, რომ არ გასჯილიყო არაფერზედ, არაფერი გამოეგზავნა მისთვის სოფლიდან. ამ გარემოებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა კაცი და ეს უსიამოვნება აღებეჭდა მას სახეზე. პორფირემ შენიშნა მასპინძლის თვალებში ეს მოუსვენრობის ნიშანი და იფიქრა, ეხლა კი სწორედ დრო არისო გამოთხოვებისა. ის იყო დააპირა კიდეც წამოდგომა, როდესაც შემოვიდა დარბაზში ლადიკო. სასკოლო ტანისამოსი გაეხადნა, სხვა ჩაეცვა. ამ ტანისამოსში გამოკვართული ახალგაზრდა და სრულებითაც პატარა აღარ ეჩვენა პორფირეს; ულვაშ აბზინებული, ქოჩორ გადავარცხნილი მოქნილი ბიჭი უკვე შეღერებულ ჭაბუკის შთაბეჭდილებას ახდენდა. მივიდა მამასთან, მიეალერსა და უთხრა:

— ამაღამ შეიძლება ცოტა გვიან მოვიდე და არ გეჯავროს. ვინ იცის, როდის გათავდება წარმოდგენა, მერმე კიდევ ვიცეკვავებთ ცოტა ხანს.

— მოდი, დედილო, და შენც წამოდი! ძალიან კარგი როლი მაქვს მე კომედიაში და პასუხსაგებელიც; ნახე, როგორ შევასრულებ; შენ ხომ ლამაზად იცი არტისტების შეფასება. ვერცხლაძიანიც ყველანი იქ იქნებიან,—მიუბრუნდა ახლა დედას.

დედას უნდოდა შენიშვნა მიეცა შვილისთვის, უნდოდა ებრძანებინა, რომ ადრე დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ აღარაფერი უთხრა, რახან შვილის სიტყვებმა ოდნავ მოუალერსეს მის თავმოყვარეობას. წასვლაზედ კი უარი განაცხადა, ცოტა უგუნებოდა ვგრძნობო თავს. სხარტად მიტრიალდა ლადიკო და დაემშვიდობა სტუმარს. პორფირემ თვალი გააყოლა მიმავალ მოზარდს და თითონაც ადგა დასამშვიდობებლად.

— რა გეჩქარებათ, ბატონო! ჩაიზედაც დარჩენილიყავით ჩვენსა,—უთხრა დიასახლისმა

და გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად. სტუმარმა ფრთხილად ჩამოართვა ფაქიზი ხელი, მაგრამ არ დაუკოცნა თითები: ჩვეულებად არა ჰქონდა ქალისთვის ხელზედ ეკოცნა, არც ეხერხებოდა. ქალბატონი კი ნაჩვევი იყო ყველასაგან ამისთანა პატივცემას.

— ნეტა სოფელში ცხოვრების გამო ჩამომრჩალა ეს კაცი ესე საშინლად, თუ ბუნებითვე მოუხეშავი არის?—სთქვა ქალმა ტუჩ აკვრით, როცა გაიცილა სტუმარი.

— ბუნებით ძალიან კეთილი ადამიანია და მართალი; საამხანაგოდ არც ერთი არ შეედრებოდა მაგას იმ თავითვე.

— მე რასა ვკითხულობ, შენ რას მეუბნები! მე მაგის ზრდილობაზედ გელაპარაკები და არა რაღაცა გულკეთილობაზედ. რა მოსატანი იყო აქ ვიღაცის კეთილი ხასიათები, ან ნეტა რა გინდა მაგითი მითხრა?!—დაუკვესა ცოლმა

და აილეწა, ბრჭყალები გამოუშვა, საბრძოლველად აიჭურვა ჩვეულებისამებრ. ქმარმა გამოცდილებით იცოდა, რა აურზაური მოჰყვებოდა ამას, თუ სიტყვას შეუბრუნებდა და დროზედ არ გაეცლებოდა მეუღლეს. მსწრაფლს ხმა ჩაიკმინდა; ხოლო, რომ მაინც მთლად არ დაემცირებინა თავისი თავი თავისსავე თვალწინ, ყელი მოიღერა და ამაყად გასწია თავის ოთახისაკენ ჯიბეში ხელებ ჩაწყობილმა. ცოლმა დამცინავი ღიმილით გააყოლა მას თვალი და წარსთქვა გასაგონად:

— ვერც თანამდებობა გაგადიდკაცებს შენ, ვერც წითელსარჩულიანი ტალავარი გიშველის: შეუდგრომლად იწევ დაბლა, შენ ბუნებრივ მდგომარეობისაკენ. არა შეჯდა მწყერი ხესა....

გატრიალდა ქალიც თავის ოთახისაკენ. მაინც წარიტყოდა:

— სად გენერალი პატივდებული, სად ვიღაც სოფლელი კაცი, ოდესღაც რომ წიგნი უსწავლია და ვერაფერში კი ვერ გამოუყენებია! მათა ყოველივე მეცადინეობა და წრთვა, რომ თავის ყადარ ადამიანებთან იქონიოს ურთიერთობა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

მკვიდრს მიუტოვებია აქაურობა და ვარდახვეწილა ოსმალეთში.

ამ კურთხეულ ქვეყანაში ქობულეთიდგან მარცხნივ სოფ. ალამბრისკენ, პირნობა და ადგილი ჯდება რვაას თუმანზედ მეტი. იმედი გვაქვს ამ თვის დამლევს სკოლა გადავა საკუთარ შენობაში. ღვინობისთვის პირველიდგან დავნიშნეთ კიდევ ჭრა-კერვის მასწავლებელი ქალი.

მეორე სკოლა გავხსენით სოფ. ხუცუბანში. მარტშივე ამ სასწავლებელში მოიყარა თავი 127 მოსწავლემ: 80 ვაჟმა და 47 ქალმა. ვაჟებს ასწავლიდა ბარბარე ბრეგვაძე, ნახევარს დილით, ხოლო მეორე ნახევარს სადილს უკან. დაქირავებული დროებითი შენობა ყველას ერთად ვერ იტევდა. ახლა ამას დაუმატეთ, მოზრდილთათვის საღამოს კურსები და მთელი დღე საღამოს 12 საათამდე ორივე მასწავლებელი ქალი თითქმის დაუსვენებლივ მუშაობდნენ. დღეს ხუცუბნის სკოლას აქვს საკუთრებათ სამ ნახევარი დესეტინა კარგი მიწა და დამთავრდება საკუთარი სახლი ამ ერთ კვირაში: 4 დიდი საკლასო ოთახი და 4 მომცრო მასწავლებელთა ბინებისათვის. გადაწყვეტილია მეზობლათ შევიძინოთ კიდევ შვიდი დესეტინა თავისუფალი მიწა, რადგან ამ სასწავლებელთან ვხსნით ამ მოკლე ხანში სამეურნეო განყოფილებას, სადაც უკვე ნათხოვნი აქვთ 15-დე ახალგაზდა ქართველ მუსულმანებს, რომელთაც ერთი, ან ორი კლასი გაუთავებიათ. აქ მოეწყობა მუშათა პრაქტიკული სკოლა. აქ გაიმართება სანერგე ყველა სუპტროპიკულ მცენარეულობისა, საუკეთესო ჯიში თხილისა და ვაშლისა. აქ მკვიდრნი, მოსწავლეთა გარდა, ისწავლიან ამ მცენარეთა მოვლა-მოშენებას, აქედგან წაიღებენ და გაიჩენენ ყველა ამ ძვირფასს მცენარეულობას. მეურნე მასწავლებლად მიწვეულია აქსენტი ჩხაიძე, ნიკიტის სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებული. რომ სანერგე და ამისთანა სასწავლებელი საჭიროა, სჩანს იქიდგან, რომ წელს გაზაფხულზედ გავხდი მოწამე ამისთანა ამბისა: საოლქო აგრონომის კანცელარიაში ვნახე მრავალი მოსული თუ გურიიდგან, თუ ქართველი მუსულმანი, რომელთაც ჯერ ისევ ზამთარში დაეკვეთნათ ასობით მანდარინ—ფორთოხლის ნერგები, ბეც მიეცათ, მაგრამ მეოცედაც ვერ დააკმაყოფილეს ნერგით, რადგან არ გასწვდა ყველას. მრავალს ბეც უკან დაუბრუნეს ჩემს თვალს წინ. სჩანს მკვიდრთ უკვე შეუგნიათ ძვირფასი მცენარეობის ღირსება.

მესამე სკოლა დავაარსეთ სოფ ყოროლის თავში, ბათომიდგან შვიდი ვერსტის მანძილზედ. მარტშივე შეიკრიფა 66 მოსწავლე ქალი და ვაჟი, თითქმის თანასწორად. მასწავლებლათ დავნიშნეთ ორივე ქალი. აქაც სასწავლებელი მოვათავსეთ დაქირავებულს სახლში, რომელიც შემდეგ საკუთრებათ შევიძინეთ ორი დესეტინა გაშენებული ბაღით. აქ დღეს შენდება ახალი სკოლის სახლი, რომელიც ბაღთან ერთად ჯდება რვაას თუმნამდე. ამ შენობაშიც იქნება ორი მოზრდილი საკლასო ოთახი და ოთხი ოთახიც მომცრო მასწავლებლების ბინათ.

ყველა ეს სამივე სასწავლებელი, მიუხედავათ უზომო სიძვირისა და შოვნის შეუძლებლობისა, ინვენტარით და სახნავ ნივთებით გვარიანათ არიან მოწყობილნი. სამივე ამ სასწავლებელში იყო გამართული საღამოს კურსები მოზრდილთათვის. სწავლობდნენ მოზრდილი ქალი და ვაჟი, ცოლშვილიანნი და ქმარშვილიანნი. ალამბრის და ხუცუბნის კურსებზედ დაიარებოდნენ 60 მეტი სული თითოში, ყოროლის თავში უფრო ნაკლები იყო.

ამ გვარათ კინტრიშის ხეობას დილით ახმაურებენ მრავალ რიცხოვანნი მოსწავლენი თავიანთი ჟივილ-ხივილით და სიმღერით: „მე პატარა ქარდაპირ ხუცუბან-ძველ ქობულეთისკენ, აგრეთვე მარჯვნივ სოფ. სამებისკენ და კიდევ იქით ათ ვერსობით გაივლით დაუმუშავებელ მიწას, ამწვანებულს შქერით და გვიმრით. აქა-იქ შეხვდებით მხოლოდ მშვენიერ დოყდოყად ამოსულს სიმინდს, ორ-ორი ტაროთი, რომელიც მოწმობს დიად სინოყივრეს ნიადაგისას. სამაგიეროთ ქობულეთიდგან დაწყობილი თვით ბათომამდე რკინის გზის ლიანდაგის მარცხენა მხარეს თითქმის ქობულეთის მთა-გრეხილამდე გაშენებულია უცხოელებისაგან ვრცელი ჩაის პლანტაციები, მანდარინ ლიმონ-ფორთოხლის ბაღები მშვენიერი სააგარაკო სასახლეებით. კარგად ზემოთ, სოფ. სამების მარჯვნივ, მთის ღელე-კალთებში მოსჩანს მართლმადიდებელთა ეკლესია და მის გარეშემო კიდევ კოხტათ შეფენილი სოფელი. ეს ბერძნები შეხიზნულან უკანასკნელი რუს-ოსმალოს ომის შემდგომ. გადმოსახლებულან აზრუმიდგან. მოკლე ხნის სტუმრები მალე ნამდვილ მასპინძლებათ გარდაქცეულან. ჩალის ფასად შესყიდულ მიწების გარდა ძალმომრეობით ეპატრონებიან მკვიდრთა ტყეებსაც, სჩეხენ და ხმარობენ უწყალოთ. ვერაფერმა საჩივარმა ბოლო ვერ მოუღო მათ ძალმომრეობას, რადგან ადმინისტრაციაც მათ უჭერს მხარს. მუყაითი და ოსტატური მუშაობით ბერძნები აქ ნამდვილ შეძლებულ მეოჯახეებათ გადაქცეულან. ხელოსნობით და ვაჭრობით მთელი კინტრიშის ხეობა ჩაუგდიათ ხელში. მკვიდრი მცხოვრებნი კი ჯერ არ გამოფხიზლებულან, არ გამოუფშვნეტ ათ თვალები, არ გამორკვეულან ძილიდგან. სწორეთ ამ დროს კი უცხო ელემენტი, ნემეცი გინდა, ფრანგი, თუ სხვა, მადიანათ შეესია და ყიდულობს მიწა-ადგილს მკვიდრთაგან, ვითომ და კაი ფასებში. ჩვეულებრივათ, როგორც ჩვენს კურთხეულს ქართლ-კახეთში, სადაც კარგი მეოჯახეობა შეგხვდება, იკითხავ, აღმოჩნდება უცხოელისა. აი ამ კინტრიშის ხეობაში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ გახსნა სამი სკოლა. სოფ. ალამბარში (მდებარეობს ქობულეთიდგან 8 ვერსზედ); სოფ. ხუცუბანში, ქობულეთიდგან 4 ვერსის სიშორეზედ და ყოროლის თავში, ბათომიდგან 7 ვერსზედ. დაიხსნა სკოლები, დაინიშნა მასწავლებლები, რიცხვით სულ შვიდი კაცი და ქალი (ორი კაცი, 5 ქალი), დატრიალდა ეს პატარა გუნდი მუშაკთა, აახმაურა მთელი ხეობა, აალაპარაკა, აამოძრავა, ამოადგმევინა ენა დიდსა და პატარას. და აი სულ 7—8 თვის შემდგომ ყველა ადგილობრივი მკვიდრი უყოყმანოთ, მოურიდებლათ, უშიშრათ გიპასუხებენ შენს შეკითხვაზედ: დიაღ, მე ქართველი მუსულმანი ვარ, თქვენი მოძმე. გმადლობთ, გმადლობთ ყველა იმისთვის, რაც საქართველომ ჩვენ ქართველ მუსულმანებს ამაგი დაგვდო, ძმური ხელი გამოგვიწოდა. რჯულით სხვანი, ეროვნებით ერთნი, ჩვენო უფროსო, ძმებო, გაგვიაფეთ, გაგვიკვლიეთ გზა, მოგყვებით უყოყმანოთ ჩვენც, რომ შემდეგში ერთად ვიყვნეთ ლხინში, ერთად ვიყვნეთ ჭირში. ამას გიპასუხებს დღეს დიდი და პატარა, ხოჯა და მოლა, ქალი და კაცი. ალამბარში გაიხსნა შკოლა მარტის პირველ რიცხვებში. სკოლა დროებით მოვათავსეთ ნაქირავებ სახლში. პირველსავე ხანებში შეიკრიბა 106 მოსწავლე, 60 ვაჟი და 46 ქალი. ერთს ჯგუფს ასწავლიდა მასწავლებელი კაცი და მეორეს ქალი. დღეს ამ სკოლას აქვს საკუთარი ეზოსაბაღე, სრული ერთი დესეტინა, ჯამესთან ახლოს, შუაგულ სოფელში და შენდება საკუთარი სასკოლე სახლი: ორი დიდი საკლასო ოთახი და ოთხი მომცრო მასწავლებლების ბინათ. შეთველი ვარ“ და სხვა. ღამით ანათებენ აქა თუ იქ ფარნებით წამოსულნი საღამოს კურსებიდან მოზრდილნი, რომელნიც მოდიან და ხმა მაღლა ლოცვას უთვლიან მადრიელნი თავიაანთ მუყაითს მასწავლებელთ, გადადის მთელს კინტრიშის ხეობაში ერთი პირიდგან მეორეში ბაბო, ელენე, პელო, სტეფანე და სხვების სახელები, საარაკოთ გადაქცეულნი, რომელთაც მოკლე ხანში სრული სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს ყველასი. ბაბოს ხომ, როგორც დოსტაქარს, ხშირათა ნახამთ შუაღამისას ფარნით ავადმყოფთან მიმავალს. ეს ნამდვილი მოწყალე დაა ახლო-მახლო სოფლებისა. მაგრამ ამ წამლის სიძვირეში ხშირად გვსმენია მისგან ჩივილი უწამლობაზედ. ჩვენს ცდასაც, რომ ქობულეთის ქსენონიდგან მიეცათ მისთვის საჭირო წამლები პირველ დახმარების აღმოსაჩენად, დღემდის ნაყოფი არ გამოუღია, რადგანაც თითონ ექიმიც სულ წამლების ნაკლებულებას სტირის და ჩივის. ქ-ტონს ბაბოს კი საკმარისი წამლით საკმარისზედ მეტი, პირველი დახმარების აღმოჩენა შეუძლიან, მით უფრო, რომ მას შესწავლილი აქვს ცოტაოთი ეს ხელობა. ჩემის აზრით ყველა სკოლასთან, რომ პატარა აფთიაქი იყოს, პირველი დახმარებისთვის, ძალიან კარგი იქნება. სამივე ამ სკოლასთან წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ მუქთად დაურიგა აბრეშუმის ჭიის თესლი. მოვლა-დარიგება იკისრეს თვით მასწავლებლებმა. მოსავალი კარგი იყო. იმედია შემდეგში უფრო ფართოთ დადგება ეს დარგი აქაც და აჭარაშიაც.

შევალოთ ეხლა კარი ნამდვილ აჭარაში. ბათომიდგან ახალციხისკენ მიდის მშვენიერი გზატკეცილი აჭარის წყლის პირის პირ ხულომდე. ვიწროა ეს ხეობა, ზოგან სულ რამოდენიმე ათეული საჟენი, რაც აჭარის წყლის კალაპოტს უჭირავს. აქეთ-იქეთ კი ამართულან მაღალი, ალმაცერი მთები, რომელიც ორ მთა გრეხილათ მიდის თითქმის განუწყვეტლივ 80 ვერსის სიგრძეზედ ხულომდე. მთელს ამ სიგრძეზედ სულ ორგან შეუხვევს ხეობა, ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ. ეს მეორე ის საარაკო ხეობაა თავის მდიდარი ბუნებით, რომელსაც სხლართის ხეობას ეძახიან.

უყურებ ამ მთებს, კლდეებს და ეძლევი გაკვირვებას, თუ რითი ცხოვრობს ეს ხალხი, რომელნიც მერცხლის ბუდეებივით მიკრულან მაღლა, დაქანებულს მთის კალთებზედ თავიანთ კოხტა სახლ-კარით. მაგრამ როდესაც კარგა გაიცნობ აქაურობას, ის კი აღარ გაკვირვებს, რითი ცხოვრობენ, არამედ გიკვირთ, რატომ ესე ღარიბად ცხოვრობენ. მთელი აჭარის მთაკლდე წარმოადგენს შესანიშნავ ზომიერი ჰავით შეზავებულს ნაყოფიერს ადგილებს. იცის დიდი თოვლი, მაგრამ ყინვას ვერ ნახავთ. ხულოს სიმაღლეზედ, როდესაც მთელი მიდამო დათოვლილი იყო, იანვრის პირველებში, დილით ადრე, როდესაც ქართლ-კახეთში ამ დროს ცხვირი გიწითლდება სიცივისაგან და თვალებიდგან ცრემლები გცვივა, აქ ცივ სიოსაც ვერა გრძნობ. ამ დროს იქ ჟუჟუნა მაისისებური წვიმა წამოვიდა. თითქოს აქაურს თოვლს თან ყინვა არა სდევსო. რასაკვირველია, ეს აიხსნება ზღვის სიახლოვით. ამიტომაც აჭარის მაღალი მთები მთელი თავის ზურგით და კალთებით წარმოადგენენ საუკეთესო პირობებს გაუმჯობესებულ ხეხილის ჯიშისთვის. აჭარას რომ კარგი პატრონი გაუჩნდეს, სულ მოკლე ხანში გადააქცევს მას ერთ დიდ ხეხილის ბაღად. მოკლე ხანში, ვამბობ, რადგან რაც ქართლსა და კახეთში წლობით იზრდება, აქ თვეობით. ნიადაგი აქაც ყველგან ადვილი დასამუშავებელია. არც რწყვა სჭირდება. იშვიათი გვალვა უნდა იყოს, რომ მაღალ კლდეებზედაც კი, მზის გულზედ, სიმინდი გაფუჭდეს. ხეხილს კი ამისთანა გვალვაც ვერას აკლებს. მთელი აჭარა ჩემის შეხედულობით შეიძლება დაიყოს მეურნეობის მხრით ორ ნაწილად, სადაც ორი სხვა და სხვა დარგი უნდა აღორძინდეს. პირველი იქნება მთელი ხეობა აჭარის წყლისა კახაბრის მინდვრიდგან ხულომდე, სიგძით 80 ვერსამდე, მაჭახლის და სხლართის ხეობებით. ეს პირველი ნაწილი წარმოადგენს საუკეთესო პირობებს ბაღოსნობა-ვენახისთვის. ხოლო მეორე ნაწილი, ეგრედ წოდებული ღორჯომ-ერყეთის ხეობები, შემკული საზღაპრო საძოვარ იალაღებით და სათიბებით, წარმოადგენენ საუკეთესო პირობებს გაუმჯობესებულის საქონლის მოსაშენებლად. პირველი ნაწილი დღესაც სავსეა ხეხილით და ვენახით (მაღლარით), მაგრამ ნაკლები ღირსების ჯიშის, რომელსაც აჭარელი დღის სავალზედ ზურგით, ან ცხენით ეზიდება ბათომში და ფუთს ათ შაურათ ძლივს ჰყიდის. სულ სხვა სურათი იქნება, აქაურობაში რომ ევროპიული ჯიშის ხილი გამრავლდეს. ზღვის სიახლოვე აჭარას რუსეთის ბაზართან აახლოვებს და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს აჭარის ეკონომიურ აღორძინებას. წასვლა-მოსვლა, მიხლა-მოხლა ნიჭიერ ხალხს ვაჭრობის გემოს გააღებინებს და დაადგება ეკონომიურ და კულტურულ სავალ გზას, რაც უეჭველია, მიიყვანს კეთილდღეობამდის. რაც შეეხება ღორჯომ-ერგეთის ხეობებს, აქ ეხლაც ძრიელ მისდევენ მესაქონლეობას. კარგი ჯიშის საქონელიც ჰყავთ. შეხვდები ძრიელ მსხვილს ხარს, რუსული ხარი გეგონება. ადგილობრივი ჯიშის ძროხა შვეიცარიის ძროხას მოგაგონებთ თვისი ხორცით და ცურის სიდიდით. აქ ხშირია ძროხა, რომელიც იწველის დღეში ათიდან თხუთმეტ ბოთლს. გააუმჯობესეთ ცოტა თი მაინც ეს ჯიში, შემოიღეთ საამხანაგო საყველე-საკარაქო ზამთარში სოფლად, ზაფხულში იალაღზედ და ეს დიდი ნაბიჯი იქნება აქაურებისთვის ეკონომიურ სავალზედ. ამისათვის საჭირო არ არის მაინც და მაინც დიდი ხარჯი. საჭიროა თვითეულ ხეობაში კარგი პრაქტიკულად განსწავლული მეურნე და მეყველე-მესაქონლე, რომელთაც გულითა და სულით ეყვარებათ თვით საქმე და ხალხი. ყველაზედ დიდი დაბრკოლება, ჩემის აზრით, სწორედ აქ შეგვხვდება, სწორედ მათი შოვნაა, რომ გაგიჭირდება. სადაც კი ამისთანა მომზადებული პირი შემხვედრია მე, ყველგან უსაქმური ჩინოვნიკი გამომდგარა. თვით აჭარელი ცნობის მოყვარეა, წამხედავი და თან პატიოსანი, ნიჭითაც ძლიერ მაღლა დგას. ჩვენი მასწავლებლების დამოწმებით ბავშვები ძლიერ ნიჭიერები არიან და, რაც საკვირველია, იდიოტს, კრეტინს, თითქმის ჯერ არ შევხვედრივართო. შიგა და შიგ ხომ პირდაპირ უტყუარ ნიჭსა ხვდები. პატიოსნებით, ზნე-ჩვეულებით ნემეცების ახალშენებს მოგაგონებს. მიდიხარ გზას, მოგდევენ მგზავრი აჭარლები, გზაში მრავალი ვაშლი, მსხალი, კაკალი გხვდება, ხელს არავინ შეაწვდის, მხოლოდ ძირს ჩამოვარდნილს თუ აიღებს. პატრონის მეტი მას ვერავინ მოჰკრეფავს. კაკალს ქვეშ ბროლივით ნაყოფი ყრია, თვალს წაგართმევს, აჭარელი ხელს არ ახლებს, პატრონი მოვა და ის აჰკრეფავსო. ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა ამ ნიადაგზედ აქ არავის სმენია. თუ მოხდება მკვლელობა, რომანიულ ნიადაგზედ ან სისხლის აღებაზედ. ერთ დიდ ნაკლულევანებას აჭარელისას შეადგენს მისი სიზარმაცე. აჭარელი ქალსაც ამუშავებს, ბავშვსაც, თითონ კი ერიდება მძიმე მუშაობას. თვით ქალებიც იმ აზრისანი არიან, რომ აღამ (ასე უძახიან ქმრებს) არ უნდა იმუშაოს, უნდა ილაღოსო. კულტურულ მოთხოვნილებას მოკლებული, დღევანდელ სულ მინიმუმი საზრდოს მქონე ხელს არ გაანძრევს, ხვალინდელზედ არ იფიქრებს. ყოველ სოფელში ყავახანა მათი კლუბია, მთელს დღეს იქ ატარებენ ნარდისა და ქაღალდის თამაშში. ქალების კარჩაკეტილობა მათში ხომ დიდს სოციალურ უბედურებას წარმოადგენს. სახლს რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, თუ ახლოს მამაკაცია, ქალი გარეთ არ გამოვა.

აი ამ აჭარაში ჩვენ გავხსენით მხოლოდ სულ სამი სკოლა. მრავალი სოფელი გვთხოვს სკოლის გახსნას, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ქართ. საქველმოქმედო საზ. უარს ეუბნება. ერთი სკოლა გავხსენით მაჭახლის ხეობაში სოფ. ჩხუტუნეთისა და ჩიკუნეთისთვის, სადაც სულ 100 კომლზედ ცოტა მეტია. მეორე ქვემო აგარაში ქედის ახლოს და მესამე ზემო აგარაში, ზემო აჭარაში. ხულოში გავხსენით მხოლოდ სახელოსნო.

(შემდეგი იქნება)

## დაბა-სოფლები

**სოფ. ბერშუეთი** (გორის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს გორიდან 18 ვერსის მანძილზედ და გაშენებულია მთის ფერდობზედ. უკან-ჩრდილოეთით უძევს ბუჩქნარი ტყე, აღმოსავლეთით ჩაუდის ხევი, რომელიც გაზაფხულობით თავის კალაპოტში ვერ ეტევა და ყოველ წელს დიდს ზარალს აყენებს მცხოვრებლებს. ზოგჯერ ადამიანიც კი გამხდარა ამ ხევის მსხვერპლი, და ზაფხულობით კი თითქმის მთლად შრება და სოფელი უწყლობას განიცდის; აღმოსავლეთ-სამხრეთით გაშენებულია ბაღ-ვენახები. შემდეგ იწყობა სახნავ-სათესი მინდვრები, რომლებიც ძალიან ნაკლებადაა დამუშავებული, რადგანაც სოფელი მსოფლიო ომმა დააცალიერა.

ამ სოფელში ას კომლამდე ქართველი გლეხი სცხოვრობს. ყველანი თითქმის დროებით ვალდებული გლეხთაგანი არიან. ამ სოფლის მფლობელნი, როგორც იქაურმა გლეხებმა გადმომცეს, ყოფილან თ. ჟორდანია, ნ. ტარსაიძე, გენერალი ხიმშიაშვილი (ამის წილი დღეს სადღეხო ბანკს ეკუთვნის) და სულიცნსკი. როგორც სჩანს ძალიან განათლებული და მასთან გავლენიანი პირები მთავრობის წინაშე ჰყოლია სოფ. ბერშუეთს, მაგრამ სოფელს კი პატრონობა არ ეტყობა. აქ არ მოიპოვება არც ერთი კულტურული დაწესებულება სკოლა, რომელიც არის თავი ყველა კულტურული დაწესებულების, დღევანდლამდე არ არსებობს. 200 ბავშვი ყოველ წელს სკოლის გარეშე რჩება. აქ მოხსენებულ პატივცემულ პირთათვის არც თუ ისე ძნელი უნდა იყვეს სკოლის დაარსება სოფ. ბერშუეთში.

ამ სოფელში სკოლის დაარსებას მოჰყვება დაარსება მომხმარებელი ამხანაგობისა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან მომავალი სკოლის მასწავლებელი და ადგილობრივი მღვდელი მამა ალ. ბიბილური, რომელიც ფრთა მოტეხილ ფრინველივით დადის და ვერას აკეთებს სოფლისათვის.

პატივცემულნი პატრონნი სოფ. ბერშუეთისა ზნეობრივად მოვალენი არიან უპატრონონ თავიანთ სოფელს,—დაუარსონ სკოლა.

ობოლი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გაახლებთ ხუთს თუმანს ვალიკო გუნიას გადასაცემად. შემომწირველს არ ჰსურს თავისი ვინაობა გამოაცხადოს.

პატივისცემით ნ. შიუკაშვილი.

## შემოწირულება

რედაქციამ მიიღო შემოწირულება შეგროვილი კოტე ციმაკურიძის მიერ კარუგში მყოფ ქართველთა შორის აგარაკის სასარგებლოდ 8 მან. 20 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |

## ს უ ს უ ნ ა ტ ი

ვისაც სურს ერ[illegible] მოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის წამლით** პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და ალიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და** ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

## თუ გსურთ,

**რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,**
**რემინგტ. ხწავლა ამერიკ. წესით,**
**საქმის ქაღალდის დაწერა,**
**თხოვნების შედგენა,**
**საქმის და თხოვნის წარმოება,**
**ცნობების შეკრება,**
**მოსამსახურის შოვნა,**
**საკომისიო მინდობილობა,**
**ბინის გაქირავება,**
**ბინის შოვნა,**
**მამულის ყიდვა,**
**მამულის გაყიდვა,**
**მამულის დაგირავება,**
**მამულის იჯარით გაცემა და სხვ.**

## მიმართეთ
## — ცნობის კონტორას —
## ი. თ. გვათუასას

**თბილისი, ვერის დაღმართი,**
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა გაუწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

## კულინარული (მზვარეულობის) სკოლა
## ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზვარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. **სკოლის მიზანია:** 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

**სამი თვის კურსი ღირს 25 მან.** შეიძლება მეცადინეობა თვიურად და **გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.**

(10—338—10

**ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ≈ წიგ. მაღაზია**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартkиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартkиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „ჯმუშიანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯ და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და საზღვარგარეთის და რუსეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**



სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გამზეის შესახვევი № 4.